

სარჩევი

შესავალი	2
1. სტატუს ქვო	2
2. სავაჭრო ბრუნვა – 2006-2007	4
3. სავაჭრო ბრუნვა - 2008	5
4. პრობლემის არსი	7
5. სიღარიბის დონე	8
6. საშუალოვადიანი რისკი	10
7. პოსტსაომარი სურათი	11
8. ვაჭრობის სიკეთე	12
9. საქართველოს ადგილი	13
10. საიმედო სტატისტიკის მოლოდინში	19
11. სამრეწველო ევოლუცია	20
12. სექტორული რენტგენი	21
13. „დიეტური“ ინვესტირება	23
14. დაკრედიტების ზიგზაგები	24
15. საბანკო წნეხი	26
16. კვანძის გასაკვეთად	28
17. დასკვნები	29
18. რეკომენდაციები	31

შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით,¹ პროექტის - „საქართველოს საგარეო პოლიტიკის მონიტორინგი სიღარიბის დაძლევის კონტექსტში“ განხორციელება 2008 წლის მარტიდან დაიწყო. პროექტის ფარგლებში ცენტრმა შეისწავლა და გაანალიზა საქართველოს საგარეო სალდოს 2007 წლისა და 2008 წლის 10 თვის დინამიკა, მისი გავლენა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, განსაკუთრებით სიღარიბის დონის შემცირების კონტექსტში.

საქართველოს საგარეო სალდოს დინამიკა და მისი გავლენა ეკონომიკურ პროცესებზე ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის და მიმდინარე პროცესების დიაგნოსტიკის ერთ-ერთი მექანიზმია.

დღეს თვალსაჩინოა, რომ ქვეყნის უარყოფითი საგარეო სალდო კვლავაც შეუქცევად იზრდება და ეკონომიკის იმპორტზე მაღალი ხარისხით დამოკიდებულს ხდის, რაც იმის მანიშნებელია, რომ არ ხდება ქვეყნის ეკონომიკის ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარება, რაც პირდაპირ კავშირშია სიღარიბის დონესთან და დასაქმების პრობლემატიკასთან.

აქედან გამომდინარე, ამ თემის ანალიზი და ადვოკატირება მოგვცემს შესაძლებლობას, რომ მთავრობასთან დისკუსია-დიალოგის გზით მოხდეს მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება და მათი პრევენცია. ამ პროექტის განხორციელება და ადვოკატირება შესაძლებლობას მოგვცემს, მოვახდინოთ ფოკუსირება უფრო კონკრეტულ და ხელშესახებ პრობლემატიკაზე, რომლის დაძლევაც ეკონომიკურ სივრცეში რეალური ცვლილებების მომტანი შეიძლება გახდეს.

1. სტატუს ქვო

იმ მიღწევების პარალელურად, რაც საქართველოს ეკონომიკაში ომამდელ ვითარებაში აშკარად შეინიშნებოდა და დღესაც მისი წარმატების საფუძველს წარმოადგენს, ეკონომიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესები ზოგიერთ ისეთ პრობლემასაც გამოკვეთს, რომლებმაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს.

აქედან ერთ-ერთი საკვანძო თემა საგარეო დეფიციტის განუხრელი ზრდა გახლავთ, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მასშტაბური ხდება. შესაბამისად, იზრდება ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი და მის შიგნით სუსტდება არა მხოლოდ საექსპორტო, არამედ იმპორტის ჩანაცვლების პერსპექტივის მქონე ადგილობრივი სექტორებიც.

საგარეო სალდოს გაუარესება თავისი შინაარსით კომპლექსური პროცესია და მისი გამომწვევი ფაქტორთა მთელი წყებაა, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ადგილი და ხვედრითი წილი აქვს, თუმცა მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე გარემოება, რომელთა გავლენაც მიდინარე პროცესზე ყველაზე თვალსაჩინოა.

იმპორტის გაზრდას, ერთის მხრივ, საგარეო ტარიფების განულების ტენდენცია უწყობს ხელს, რაც თავისთავად მისასალმებელი ტენდენციაა, რადგან ვაჭრობის გაიოლებას და გაიაფებას მოასწავებს. თუმცა, იმავდროულად გასაცნობიერებელია ის რისკი, რომ ამგვარი პოლიტიკა ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობებს ამცირებს და იმპორტული პროდუქციით ბაზრის სრული გაჯერების ალბათობას კიდევ უფრო მეტს ხდის.

¹ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი სიღარიბის დაძლევის კონტექსტში საქართველოს საგარეო პოლიტიკის მონიტორინგს ახორციელებს. პროექტის ფარგლებში მომზადებული ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. შესაძლებელია ცენტრის შეხედულებები არ ემთხვეოდეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

იმავდროულად, საექსპორტო შესაძლებლობებს უკანასკნელ ორ წელიწადში საგრძნობლად ვნებდა ჯერ ეროვნული ვალუტის კურსის შეუქცევადი და მკვეთრი გამყარების ტენდენცია, რაც ექსპორტს აძვირებდა და მის არსებულ თუ პოტენციურ რესურსს ამცირებდა, იმპორტს კი, პირიქით, აიაფებდა და მისი მოცულობა იზრდებოდა. მოგვიანებით, კი (2008 წლის ნოემბრიდან) ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსთან დაკავშირებით წარმოქმნილი არასტაბილური ვითარება ასევე ნეგატიურად აისახა სავაჭრო პოლიტიკაზე, ვინაიდან შეუძლებელი ხდება სავაჭრო პოლიტიკის და ოპერაციების გრძელვადიანი დაგეგმარება და განხორციელება.

სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად (ქართული საექსპორტო პოტენციალის სიმწირე, ქართული კომპანიების ნაკლები ფინანსური მდგრადობა და უცხოურ ანალოგებთან შედარებით გაცილებით სუსტი პოზიციები, არსებულ ბაზრებზე ადგილის შენარჩუნების და გასაღების ახალ ბაზრებზე შეღწევის სირთულეები და ხარჯიანობა და ა.შ.), ეს პრობლემები შედეგად იწვევს იმას, რომ ხდება არა ექსპორტის მატება და იმპორტის ჩანაცვლება, არამედ იმპორტის გაძლიერება, რაც ოფიციალური სტატისტიკითაც არის დადასტურებული და ტენდენცია თვალსაჩინოა – ქართული ექსპორტი, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტად ექცევა იმპორტის ჩრდილში.

არსებული პრობლემა კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია იმით, რომ უშუალო კავშირშია სიღარიბის დაძლევის პრობლემატიკასთან. იმპორტის პოზიციების ასეთი გაძლიერება სირთულეს უქმნის არა მხოლოდ ადგილობრივი კომპანიების ფინანსურ თუ ინსტიტუციურ მდგრადობას და შემდგომ განვითარებას, არამედ შეუძლებელს ხდის არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და, მით უფრო, ახალი ადგილების გენერირებას.

ეს თანაბრად ეხება როგორც ქვეყნის შიდა მოთხოვნილებებზე, ასევე საექსპორტო მიმართულებებზე ორიენტირებულ სექტორებს და კომპანიებს. როგორც ადგილობრივ ბაზარზე ფოკუსირებული მომსახურება და საქონელი, ასევე საექსპორტო პოტენციალი ყველაზე მეტად იქმნება იმ სფეროებში, სადაც მოსახლეობის დასაქმება დიდია.

მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, რომელმაც 2007 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის, დაახლოებით, 13%-ის გენერირება მოახდინა. ამ სექტორის საექსპორტო და ადგილობრივი პოზიციების შენარჩუნება განსაკუთრებით მტკივნეული იმ ფაქტორის გამო იქნება, რომ მასში ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 55,6%-ია დასაქმებული.

ამდენად, ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის კონფიგურაციის მკვეთრი ცვლილება სავაჭრო დეფიციტის ზრდის თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი პრობლემაა, რომელსაც ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვას. აქედან გამომდინარე, მისი საფუძვლიანი ანალიზი და შესაბამისი პრევენციული ქმედებების აუცილებლობა აშკარაა.

პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სიღარიბის პრობლემატიკის სწორედ ამ კონტექსტში დანახვა, ვინაიდან ძალიან ხშირად არსებულ ვითარებაზე დაკვირვება და მისი შესწავლა ხდება ხოლმე ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლად, რაც შეუძლებელს ხდის სიღარიბის გამომწვევი მიზეზების კომპლექსურ ხედვას და ანალიზს.

არადა, საქართველოს სავაჭრო დეფიციტის შეუქცევადი ზრდა სიღარიბის პრობლემას სულ უფრო მწვავე ხასიათს სძენს და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე (იგულისხმება როგორც შრომის ბაზარი, ასევე ახალი კომპანიების შექმნის, შემოსავლების გენერირების და ა.შ. შესაძლებლობები) ასევე მზარდია.

ექსპორტ-იმპორტის კონფიგურაციის ცვლილების გავლენა სიღარიბის დონეზე არ არის მყისიერი პროცესი და ის ყოველთვის მოკლე პერიოდში არ ვლინდება. შესაბამისად, ის დინამიკაში დაკვირვებას და დეტალურ ანალიზს საჭიროებს.

ამ პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, გამოავლინოს და შეაფასოს ის ბმა, რომელიც არსებობს ექსპორტ-იმპორტის ბალანსის ცვლილებასა და მის გავლენას შორის დასაქმება-უმუშევრობისა და სიღარიბის დონის გაზრდა-შემცირების პრობლემატიკასთან. ამ ურთიერთკავშირის გამოვლენა შესაძლებელს გახდის იმ სურათის უფრო ფართოდ დანახვას და გათვალისწინებას, რომელზე დაყრდნობითაც ამ ორი საკვანძო პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული პოლიტიკა უნდა გადაამუშავდეს.

ამავდროულად, ამ ანალიზით მნიშვნელოვანია ეკონომიკის იმ სექტორების გამოვლენა და ყურადღების ფოკუსში მოქცევა, რომელთაც მიმდინარე ცვლილებების კონტექსტში ან ახალი პერსპექტივები უჩნდებათ, ან პირიქით, არსებულ პოზიციებს კარგავენ.

2. სავაჭრო ბრუნვა – 2006-2007

უფრო მეტი თვალსაჩინოებისა და ტენდენციაზე შედარებით ხანგრძლივ პერიოდში დაკვირვებისთვის ალბათ სასურველია, სულ მცირე, ბოლო 2 წლის მოცემულობებს დავაკვირდეთ, რომლებიც რამდენიმე საყურადღებო გარემოებას გამოკვეთს.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2007 წელს (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 6,457 მილიარდი დოლარი იყო, რაც 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 39,9%-ით მეტია. სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, საერთო საგარეო ვაჭრობის მოცულობიდან ექსპორტი 1,24 მილიარდ დოლარს, ხოლო იმპორტი – 5,22 მილიარდს შეადგენს. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი რეკორდული – 3,98 მილიარდი დოლარია (ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ოდენობა და სტრუქტურა 2006-2007 წლებში

	2006 წელი (მლნ დოლარი)	2007 წელი (მლნ დოლარი)	ზრდა (%)
სავაჭრო ბრუნვა	4 651	6 454	39,9
ექსპორტი	993	1 240	24,9
იმპორტი	3 681	5 217	41,7
დეფიციტი	2 688	3 976	47,9

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 100 პარტნიორ ქვეყანასთან აქვს, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტი 4,12 მილიარდია, დადებითი სავაჭრო ბალანსი კი საქართველოს 23 ქვეყანასთან აქვს (146 მილიონი დოლარის ჯამური ოდენობით).

2007 წელს საქართველოს მილიონ დოლარზე მეტი დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 11 ქვეყანასთან. ესენია: კანადა (58,3 მილიონი), სომხეთი (51,3 მილიონი), მექსიკა (12,6 მილიონი), გიბრალტარი (8,3 მილიონი), ტაჯიკეთი (4,2 მილიონი), იემენი (2,1 მილიონი), ალჟირი (1,6 მილიონი), ერაყი (1,4 მილიონი), ბელიზი (1,3 მილიონი), ფილიპინები (1,3 მილიონი) და ავღანეთი (1,1 მილიონი).

სავაჭრო დეფიციტის 34,8% დსთ-ის ქვეყნებზე მოდის. ამ ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2007 წელს 2,32 მილიარდი დოლარი იყო. დსთ-ის ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 36%, მათ შორის ექსპორტის 37,9% და იმპორტის 35,5%.

რაც შეეხება ევროპას, აქ საქმე ასე გამოიყურება: საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის 27 ქვეყანასთან 2007 წელს 1,8 მილიარდი დოლარი იყო, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 36%-ით აღემატება. აქედან ექსპორტი 269 მილიონი დოლარია, ხოლო იმპორტი – 1,54 მილიარდი. ამ ქვეყნების წილად საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 28% მოდის, მათ შორის ექსპორტის 21,7%, იმპორტის 29,5% და სავაჭრო დეფიციტის 34,8% (ცხრილი 2).

ცხრილი 2. სავაჭრო ბრუნვის ოდენობა და სტრუქტურა დსთ-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან 2007 წელს

	დსთ (მლნ დოლარი, %)	ევროკავშირი (მლნ დოლარი, %)
სავაჭრო ბრუნვა	2,32	1,80
ექსპორტი	37,9%	21,7%
იმპორტი	35,5%	29,5%
დეფიციტი	34,8%	34,8%

ტენდენცია ნათელია: საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში იმპორტი მზარდი ტემპით ავინროებს ექსპორტს. ქართული ექსპორტი, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტად ექცევა იმპორტის ჩრდილში. თან, ქვეყნიდან საექსპორტოდ ძირითადად კვლავაც მხოლოდ ნედლეული გაედინება და, ისიც, საკმაოდ დიდი შეფერხებებით (იგივე ღვინო და ციტრუსი ან თუნდაც შავი ლითონების ჯართი).

ექსპორტის ასეთი მძიმე მდგომარეობის ფონზე, იმპორტის აქტივობა სულ უფრო ძლიერდება. იმპორტის მოძალეების და ადგილობრივი წარმოების შევიწროების გამო, საქსპორტო რესურსები კიდევ უფრო მეტად მცირდება.

საგულისხმოა კიდევ ერთი პარამეტრი: პარტნიორი 100 ქვეყნიდან საქართველოს დადებითი ბალანსი მხოლოდ 23-თან აქვს, დანარჩენი 100-თან – უარყოფითი (შარშან პროპორცია 17-83-ზე იყო). აქაც უარყოფითების რიცხვი შეუქცევადად იზრდება, რაც არსებული ექსპორტ-იმპორტის ბალანსის გაუარესების კიდევ ერთი დასტურია.

ექსპორტის მცირე მასშტაბი პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში პროდუქციის წარმოების მასშტაბების დაბალ დონესთან, რადგან საუბარია არა მხოლოდ საქსპორტო პროდუქციის წარმოების მცირე მასშტაბთან, არამედ – იმპორტის მაღალ დონესთან. იმპორტის მუდმივი მატება ნათელყოფს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქცია ვერ უზრუნველყოფს ვერც ადგილობრივ ბაზარს, რაც, თავის მხრივ, უმუშევრობის საფუძველია. ამიტომ, ექსპორტის დაბალი მაჩვენებლისადმი, შესაბამისად – იმპორტის მზარდი მაჩვენებლისადმი ყურადღების კონცენტრირება და ექსპორტ-იმპორტის დინამიკაზე ეკონომიკური აქცენტების გაკეთება მნიშვნელოვანია ქვეყნის უმთავრესი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევის – სიღარიბის დასაძლევად.

იმპორტის პოზიციების ასეთი გაძლიერება სირთულეს უქმნის არა მხოლოდ ადგილობრივი კომპანიების ფინანსურ თუ ინსტიტუციურ მდგრადობას და შემდგომ განვითარებას, არამედ შეუძლებელს ხდის არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და, მით უფრო, ახალი ადგილების გენერირებას. ეს თანაბრად ეხება როგორც ქვეყნის შიდა მოთხოვნილებებზე, ასევე საქსპორტო მიმართულებებზე ორიენტირებულ სექტორებს და კომპანიებს.

როგორც ადგილობრივ ბაზარზე ფოკუსირებული მომსახურება და საქონელი, ასევე საქსპორტო პოტენციალი ყველაზე მეტად იქმნება იმ სფეროებში, სადაც მოსახლეობის დასაქმება დიდია.

მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, რომელმაც 2007 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის, დაახლოებით, 12,3%-ის გენერირება მოახდინა. ამ სექტორის საქსპორტო და ადგილობრივი პოზიციების სენარჩუნება განსაკუთრებით მტიკვენული იმ ფაქტორის გამო იქნება, რომ მასში ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 55,6%-ია დასაქმებული.

ამდენად, ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის კონფიგურაციის მკვეთრი ცვლილება სავაჭრო დეფიციტის ზრდის თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი პრობლემაა, რომელსაც ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, მისი საფუძვლიანი ანალიზი და შესაბამისი პრევენციული ქმედებების აუცილებლობა ამკარაა.

3. სავაჭრო ბრუნვა – 2008

ის, რომ საქართველოს ეკონომიკა კვლავაც დიდწილად არის დამოკიდებული იმპორტზე და ექსპორტო სულ უფრო მეტად ექცევა მის წნეხის ქვეშ, წლევანდელი 10 თვის სტატისტიკითაც დასტურდება.

2008 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს სავაჭრო სავაჭრო ბრუნვა (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 6 მილიარდ 531 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 29%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 1 მილიარდ 352 მილიონი დოლარია (შესაბამისად 35,6%-ით მეტი), ხოლო იმპორტი – 5 მილიარდ 179 მილიონ დოლარი (27,4%-ით მეტი). ანუ 2008 წლის 10 თვეში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 3 მილიარდ 827 მილიონი დოლარია და, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე 4 მილიარდ გადააჭარბებს.

2008 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს 104 პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტი 4 მილიარდ 35 მილიონ დოლარს შეადგენს (ნაცვლად 100 ქვეყნისა და 3 მილიარდ 182 მილიონი დოლარისა, რაც დაფიქსირდა 2007 წლის იანვარ-ოქტომბერში).

2008 წლის იანვარ-ოქტომბერში ქვეყანას დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 21 ქვეყანასთან 208 მილიონი დოლარის პოზიტიური ბალანსით (ნაცვლად 22 ქვეყნისა და 115 მილიონი დოლარისა, რაც დაფიქსირდა გასული წლის იანვარ-ოქტომბერში).

სხრილი 3.
საქართველოს სავაჭრო ბალანსი

	ქვეყნების რაოდენობა	სავაჭრო ბალანსი, მლნ. აშშ დოლარი
უარყოფითი სავაჭრო ბალანსი		
2007 წლის იანვარი-ოქტომბერი	100	3 182.2
2008 წლის იანვარი-ოქტომბერი	104	4 035.3
დადებითი სავაჭრო ბალანსი		
2007 წლის იანვარი-ოქტომბერი	22	114.5
2008 წლის იანვარი-ოქტომბერი	21	208.1
სულ		
2007 წლის იანვარი-ოქტომბერი	122	-3 067.7
2008 წლის იანვარი-ოქტომბერი	125	-3 827.2

სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზე ფეროშენადნობებია – მის წილად 2008 წლის იანვარ-ოქტომბერში ექსპორტის 19,3% მოდის და 261 მილიონ დოლარს შეადგენს. შავი ლითონების ჯართის ექსპორტი შეადგენს 119 მილიონ დოლარს, რაც ექსპორტის 8,8%-ია. მესამე ადგილზე მყოფი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების სასაქონლო ჯგუფის ექსპორტის წილი 8,3%-ია და 112 მილიონ დოლარს შეადგენს.

სხრილი 4.
უმსხვილესი სასაქონლო უოჩისიები საქართველოს ექსპორტში

	2007 წ. იანვარი-ოქტომბერი		2008 წ. იანვარი-ოქტომბერი	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტი ჯამის მიმართ	ათასი აშშ დოლარი	პროცენტი ჯამის მიმართ
ექსპორტი – სულ	997 024.5	100.0	1 351 972.0	100.0
ფეროშენადნობები	117 630.9	11.8	260 894.3	19.3
შავი ლითონების ჯართი	83 623.8	8.4	118 664.3	8.8
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	79 212.5	7.9	111 918.0	8.3
აზოტოვანი სასუქები	51 094.4	5.1	102 952.8	7.6
მსუბუქი ავტომობილები	54 932.6	5.5	99 084.6	7.3
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადამუშავებული	53 190.2	5.3	73 985.0	5.5
ცემენტი	52 565.2	5.3	73 985.0	5.5
სპირტი ეთილის არადენატურიებული 80 მოც. %-ზე ნაკლები სპირტის კონცენტრაციით და სპირტიანი სასმელები	42 477.8	4.3	43 976.9	3.3
ყურძნის ნატურალური ღვინოები	22 745.0	2.3	30 568.5	2.3
სპილენძის ჯართი	32 332.0	3.2	29 224.1	2.2

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი, 2008 წლის იანვარ-სექტემბერში, ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომლის წილი 13,1% და 679 მილიონი დოლარია. მეორე ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფის იმპორტი 435 მილიონი დოლარი ანუ იმპორტის 8,4%-ია.

მესამე ადგილს ნავთობის აირების და აირისებრი ნახშირწყალბადების და სამკურნალო საშუალებების სასაქონლო ჯგუფები იყოფენ 3-3%-იანი წილით და, შესაბამისად, 157 მილიონი დოლარის და 153 მილიონი დოლარის თანხობრივი მოცულობით.

უმსხვილესი სასაქონლო კოფისიციები საქართველოს იმპორტში

	2007 წ. იანვარი-ოქტომბერი		2008 წ. იანვარი-ოქტომბერი	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტი ჯამის მიმართ	ათასი აშშ დოლარი	პროცენტი ჯამის მიმართ
ექსპორტი – სულ	4 064 762.4	100.0	5 179 221.7	100.0
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	435 535.5	10.7	678 906.7	13.1
მსუბუქი ავტომობილები	300 182.2	7.4	435 174.0	8.4
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	241 990.6	6.0	157 373.1	3.0
სამკურნალო საშუალებები	119 093.4	2.9	153 075.8	3.0
აპარატურა გადამცემა რადიოსატელეფონო, რადიოსატელეგრაფო კაბელების, რადიომაუნწყებლობისა და ტელევიზიისათვის	83 672.8	2.1	134 799.9	2.6
რკინისა და ფოლადის ნნელები	60 587.1	1.5	101 567.6	2.0
ხორბალი	99 966.7	2.5	90 378.7	1.7
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	61 337.0	1.5	80 615.0	1.6
მანგანუმის მადნები და კონცენტრატები	15 864.8	0.4	69 876.2	1.3
ხორბლის ფქვილი	21 475.8	0.5	67 715.9	1.3

ამ სიის ზედაპირული ანალიზიც ცხადყოფს, რომ ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურაში არც ის ტენდენცია შეცვლილა, რომლის მიხედვითაც ქვეყნიდან ძირითადად ნედლეული გაედინება, რომლის წარმოებაშიც მინიმალური სამუშაო ძალაა ჩართული. იმპორტირებული საქონლის ნუსხაში კი უპირატესად საბოლოო პროდუქტებია, რომელსაც საქართველოში გადამუშავება აღარ სჭირდება და მხოლოდ საცალო ქსელში სერვისის მოითხოვს.

როგორც ერთ, ისევე მეორე შემთხვევაში დასაქმების ეფექტი ძალიან დაბალია. შესაბამისად, იმპორტის ზრდა და ექსპორტის ნაკლებდმწარმოებლური სეგმენტების განვითარება ქვეყანაში დასაქმების კლების და უმუშევრობის ზრდის ძირითად ხელშემწყობად რჩება.

ზოგადადაც, საქართველოს ეკონომიკის მომავალი განვითარების შემაფარებელი რამდენიმე ფაქტორიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სწორედ ქვეყნის მზარდი სავაჭრო დეფიციტია. დეფიციტი, რომელსაც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად უნდა გამოენჯია ის, რაც 2008 წლის ნოემბერში ორი დღის ინტერვალით მოხდა – ეროვნული ვალუტის 17%-იანი დევალვაცია.

4. პრობლემის არსი

საჭიროა იმის ზუსტად გაგება, თუ რა თვალსაზრისით წარმოადგენს სავაჭრო დეფიციტი ასეთ მნიშვნელოვან პრობლემას. თუმცა, ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ არსებული ვითარება ქვეყნის, როგორც შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკის სტრუქტურულ არჩევანს უკავშირდება.

თავისთავად, ასეთ დეფიციტს მონეტარული და რეალური განზომილებები გააჩნია. საკითხის მონეტარული მხარე ამ დეფიციტის გაცვლით კურსზე ზემოქმედებაში მდგომარეობს. თეორიულად, გაცვლითი კურსის თვითკორექტირება აბალანსებს ვაჭრობას: იმპორტის სიჭარბე ზრდის მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე და აუფასურებს ეროვნულ ვალუტას, რაც ზრდის პროდუქტების კონკურენტუნარიანობას გაცვლითი კურსის თვალსაზრისით და აუმჯობესებს სავაჭრო ბალანსს.

სტაბილური დეფიციტი შეიძლება გაჩნდეს სხვადასხვა ვითარებაში: აშშ-ში, სადაც ეროვნული ვალუტა მსოფლიო ვალუტაცაა, რაც ანეიტრალებს გაცვლითი კურსის მარეგულირებელ ეფექტს; იმ ქვეყნებში, სადაც გაცვლითი კურსის

ცვალებადობა შეზღუდულია მთავრობის მიერ გატარებული მკაცრი საკურსო პოლიტიკით, „სავალუტო ფარის“ რეჟიმის გამოყენებით, ან მონეტარული ინტეგრაციით, როგორც ევროკავშირშია.

ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, სადაც კაპიტალის შემოსული ნაკადები აკომპენსირებს სავაჭრო დეფიციტის გავლენას გაცვლით კურსზე და ინარჩუნებს ეროვნული ვალუტის მაღალ კურსს.

ამ პრობლემის რეალური განზომილება ისაა, რომ მზარდი სავაჭრო დეფიციტი ასახავს ეროვნული ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობას და ქვეყნის ძალზე ვიწრო ეკონომიკურ ბაზას, რომელიც შეიძლება ერთ სულ მოსახლეზე შრომითი დანახარჯებით გაიზომოს. ეს დანახარჯები შეიძლება ძალიან დაბალი იყოს ისეთი მიზეზების გამო, როგორცაა: განუვითარებელი ეკონომიკა, არაფორმალური სექტორი, პოტენციური აქტივობის დაბალი დონე (რაც განპირობებულია დემოგრაფიული ფაქტორით), დასაქმების დაბალი დონე, სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის დაბალი წლიური შრომის დანახარჯები.

საერთოდ, სავაჭრო დეფიციტის მონეტარული და რეალური განზომილებები ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით უნდა განალიზდეს. საინტერესოა, რომ ეს ვითარება საფრანგეთის ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობას წააგავს, რომლის სავაჭრო დეფიციტიც, უკვე მეოთხე წელია, 39 მილიარდი ევროა (მშპ-ის თითქმის 2%). მას განაპირობებს იმპორტირებული ენერგომატარებლების ფასები, ევროს მაღალი გაცვლითი კურსი, დაბალი ხელფასები გერმანიაში და არასაკმარისი შრომითი დანახარჯები. აღნიშნული დეფიციტის ინტერპრეტაცია ეკონომისტებს შორის კამათის საგანია.

რა არის საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტები?

თუ პრიორიტეტები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით მოდერნიზაციის განხორციელება და სიღარიბის დაძლევაა, მაშინ დეფიციტის მონეტარული ეფექტი განეიტრალდება და საქართველოს კვლავ მაღალი და სტაბილური გაცვლითი კურსი ექნება. ამგვარი კურსი კარგა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ასევე მოსახლეობის მყიდველობითი უნარისთვის იმ პირობით, თუ მას შემოსავალი ექნება. მაგრამ, რეალურად, მაღალი გაცვლითი კურსი არ არის კარგი ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობისთვის და შესაბამისად, დასაქმების და ადგილობრივი შემოსავლების გენერირებისთვის. ქვეყანა ვიწრო ეკონომიკური ბაზის ჩარჩოში ჩაიკეტება.

ისიც უნდა დავამატოთ, რომ ეროვნულ ვალუტაზე პოზიტიურ და ნეგატიურ ზენოლებს შორის არსებული ამჟამინდელი ბალანსი საშუალოვადიან პერიოდში საკმაოდ მყიფე სიტუაციას ქმნის. თუ გავითვალისწინებთ რომ დეფიციტი ძალიან დიდია (მშპ-ის 24%-ზე მეტი, რაც 12-ჯერ მეტია, ვიდრე საფრანგეთში), აღნიშნული ბალანსის ნებისმიერი ცვლილება სერიოზულ ეკონომიკურ დესტაბილიზაციას გამოიწვევს. უკვე დღეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედეგად ნომინალური კურსის გამყარების თავიდან ასაცილებლად დიდი ოდენობის ლარის ინექციები ინფლაციის საფრთხეს ქმნის.

გარდა ამისა, იმპორტზე ზედმეტად ორიენტირებული ეკონომიკის ყველაზე დიდი ნაკლი ადგილობრივი აქტივობის დასუსტებაა, რის შედეგადაც ხშირად ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს სიღარიბე, რომელიც ბოლო დროს პოლიტიკური ცხოვრების ფოკუსში მოექცა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ ხდება აღნიშნული ფენომენის ღრმა ანალიზი და მონიტორინგი. სიღარიბის რაოდენობრივი შეფასება ვერ ხერხდება მონაცემთა არათანმიმდევრულობის გამო.

5. სიღარიბის დონა

არსებული მონაცემების მიხედვით, სიღარიბის დონე მცირდება, მაგრამ იგი უფრო მაღალია ქალაქებში, რაც საკმაოდ საკამათოა, თუ მხედველობაში მივიღებთ ქალაქებში ფულადი გზავნილების სიდიდეს. უფრო მართებულია ალბათ ის, რომ სიღარიბე დაკავშირებულია დასაქმების დაბალ დონესთან როგორც ქალაქად, ისე სოფლად. სოფლებში დასაქმების ძირითადი ფორმა, საერთაშორისო ორგანიზაციების ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, არის „თვითდასაქმება“. რეალურად ეს არის წვრილი, უპირატესად თვითგამოკვებაზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობა.

თვითდასაქმებულები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 50%-ს შეადგენს. დაქირავებულ ადამიანთა რიცხვი ჯერჯერობით არ გაზრდილა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 30%-ს ან მთლიანად დასაქმებულთა 35%-ს შეადგენს. ჯერჯერობით არ ჩატარებულა შრომის ბაზრების, ფულადი გზავნილების და სიღარიბის რეგიონული ანალიზი, რაც ქალაქად და სოფლად სიღარიბის ხაზანგებს გამოავლენდა.

გარდა სოციალური და პოლიტიკური შედეგებისა, ასეთი მდგომარეობის მთავარი შედეგი საშუალოვადიან პერიოდში იქნება მასშტაბური დაუსაქმებლობა, რაც ქვეყნის ეკონომიკური ბაზის შემდგომ შემცირებას მოასწავებს. სწორედ ამის გამო, სარეიტინგო სააგენტო **Fitch Ratings** ფრთხილი იყო თავის შეფასებაში, როდესაც ხაზს უსვამდა საქართველოს შემოსავლების საშუალო დონეს და ვიწრო ეკონომიკურ ბაზას.

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ აპრილში, როდესაც **Fitch Ratings**-მა საქართველოს გრძელვადიანი **BB-** რეიტინგი შეუწარმოა სტაბილური პერსპექტივით, სააგენტომ იმ რისკების იდენტიფიცირებაც მოახდინა, რომლებიც საქართველოს ეკონომიკისთვის როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემების წყაროდ შეიძლება იქცეს.

საკრედიტო კომპანიის ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური სისუსტეების, მათ შორის საგარეო სავაჭრო დეფიციტის გამო, ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის საფრთხეები არსებობს. ის ფაქტი, რომ მუდმივად მზარდი უარყოფითი სავაჭრო სალდო ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა სარეიტინგო სააგენტომ კიდევ ერთხელ დაადასტურა.

სხვა გარემოებებთან ერთად, ესეც არის იმის გამომწვევი ფაქტორი, რომ სააგენტო **Fitch Ratings** წელს საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროგნოზი შეამცირა. მოგვიანებით კი რეიტინგი კლებისკენ მაინც გადაისინჯა, რისი მიზეზიც რუსეთთან საომარი მოდგომარეობა და ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი გაურესება გახდა.

ეკონომიკურ სისუსტეებს შორის უარყოფითი სავაჭრო სალდოს პერმანენტულად მზარდი სირთულე რომ არის და პირდაპირ კავშირშია სიღარიბის დონესთან და დასაქმების პრობლემატიკასთან, ესეც ცალსახად აღინიშნა. სოციალური დაძაბულობის მუხტი კვლავაც მაღალია, რაც, საბოლოოდ, ისევ შიდა პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავების მიზეზი შეიძლება გახდეს.

დასაქმების დაბალი დონე საქართველოში არსებულ ეკონომიკურ პრობლემათა ჯაჭვის ის რგოლია, რომელიც ყოველთვის ძალიან სუსტად გამოიყურება და სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის ყველაზე მყიფე ელემენტს წარმოადგენს.

ვინაიდან წარმოების დინამიკა ჩამორჩება მოხმარებას, შეიძლება ითქვას, რომ საწარმოო ბაზა ქვეყანაში ძალიან ვიწროა. ეს ზედმეტი მოხმარების რეალობის დასაქმების ასპექტია. რასაკვირველია, მხედველობაშია მისაღები შრომის სხვადასხვა ინტენსივობა წარმოების სხვადასხვა დარგში და ისიც, რომ ზოგიერთი არასაექსპორტო დარგი, მაგალითად, მშენებლობა, ბევრ სამუშაო ადგილს ქმნის. მაგრამ ასე არ არის სხვა, ისეთ მზარდ სექტორებში, როგორცაა, ვთქვათ, ფინანსური სექტორი ან კომუნიკაციები. ეს სტრუქტურული უმუშევრობა მხოლოდ ნაწილობრივ აისახება უმუშევრობის მაჩვენებლებში.

გასათვალისწინებელია ასევე არარეგისტრირებული დასაქმება როგორც სოფლად, ისე დიდ ქალაქებში და ემიგრირებული სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობა, რაც ასევე მნიშვნელოვნად ცვლის არსებულ სურათს.

ემიგრაცია ცალკე პრობლემური ბლოკია – კომპლექსური ფენომენი, რომელიც აისხნება როგორც ეკონომიკური (სიღარიბის ბიძგი და სხვა ქვეყნებში ცხოვრების მაღალი სტანდარტების მიმზიდველობა), ისე სოციალოგიური (ადრე ემიგრირებული დიასპორა) და კულტურული ფაქტორებით (ზოგიერთი ქვეყნის სიმბოლურად თუ ეკონომიკურად მიმზიდველი ძალა).

ისეთი პატარა ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა, ემიგრაციის მაღალი დონე ტრადიციული რეაქციაა უმუშევრობაზე. საქართველოში წმინდა მიგრაციული დანაკარგი ერთ მილიონ ადამიანზე მეტია (მოსახლეობის 20%), რომლის 2/3 ძირითადად რუსეთშია (დანარჩენი აშშ-ში, საბერძნეთში, თურქეთში, ესპანეთსა და უკრაინაში).

ემიგრაცია და ზედმეტი მოხმარება შემოსავალზე ორიენტირებულ ეკონომიკას თვითმავალ ეკონომიკად აქცევს. რასაკვირველია, არსებობს საწარმოო ინვესტიციების საპირისპირო ტენდენციაც, მაგრამ ეს ტენდენცია ჯერჯერობით სუსტია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შემოსავალზე ორიენტაცია სტაბილურია და მდგრადია და კიდევ უფრო დიდია ამ ვითარებაში ჩაკეტვის რისკი.

ასე რომ, საქართველო, ყველა ნიშნით, არის შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკა. იმავე 2006 წელს ასეთი შემოსავლები იყო: ფულადი გზავნილები (800 მილიონი დოლარი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (1,1 მილიარდი დოლარი), საერთაშორისო გარანტიები (187 მილიონი დოლარი), კაპიტალური შემოსავლები პრივატიზაციისაგან (312 მილიონი დოლარი) და დაახლოებით 100 მილიონი დოლარი მილსადენის საკომისიოების სახით. გარე წყაროებიდან მიღებული

მთელი შემოსავალი 2006 წელს 2,5 მილიარდ დოლარს ანუ მშპ-ს დაახლოებით 32,5%-ს შეადგენდა. იგივე ტენდენციას ადასტურებს 2007 წელი და 2008 წლის პრესაომარი პერიოდი.

შემოსავლებზე ორიენტირებულ სიტუაციას საქართველოში თავისთავად სამი ძალა ამოძრავებს: შემცირებული ეკონომიკური ბაზის თვითმავალი მექანიზმი, ემიგრაცია და ზედმეტი მოხმარება; დასავლელი დონორების საგარეო დახმარება, რომლებსაც ქვეყანაში გრძელვადიანი სტრატეგიული ინტერესები გააჩნიათ და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები.

6. საშუალოვადიანი რისკი

რა შედეგებია მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდში?

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დიდი სავაჭრო დეფიციტი თავისთავად პრობლემა არ არის, ვინაიდან ამავე დროს შემოდის რესურსები ამ დეფიციტის დასაფინანსებლად და მისგან გამოიწვეული დისბალანსის შესამსუბუქებლად და, პირიქით, შემოსული კაპიტალის პოტენციურად ნეგატიურ ზეგავლენას რეალურ გაცვლით კურსზე სწორედ სავაჭრო დეფიციტი ანეიტრალებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უდიდესმა სავაჭრო დეფიციტმა უკვე გამოიწვია ეროვნული ვალუტის დევალაცია და სხვა რისკების გაზრდა.

საქართველოს ეკონომიკა, როგორც ველოსიპედი, წინ მიგორავს ამ ორ დისბალანსს შორის. პრობლემა ის არის, რომ ეს თანაფარდობა არ არის სტაბილური და საგარეო შემოსავლების შემცირება (რაც შეიძლება მოხდეს, მაგალითად, თუ საშუალოვადიან პერიოდში ემიგრანტთა ნაწილები უკან დაბრუნდება) ან სავაჭრო დეფიციტის კლება (რაც მოსალოდნელია ექსპორტის ზრდის შედეგად) მაკროეკონომიკურ რყევებს გამოიწვევს.

გარდა ამისა, კვაზი-ფიქსირებული გაცვლითი კურსის ვითარებაში, კაპიტალის მსხვილი ნაკადების შემოსვლა მოითხოვს ლარის შესაბამის ემისიას და ზრდის ფულის აგრეგატებს: **M2** 2005 წელს 26%-ით, ხოლო 2006 წელს 30%-ით გაიზარდა, ფულზე მოთხოვნა კი შესაბამისად არ გაზრდილა. ეს ინფლაციური ზენოლა უკვე გამოჩნდა: საშუალო ფასების ინდექსი 2005 წელს 6,2%-დან 2006 წელს 8,7%-მდე, ხოლო 2007 წელს – 10,7%-მდე გაიზარდა.

პრობლემა უკვე საგრძნობია მოსახლეობისთვის იმიტომ, რომ ფასები ძირითადად საბოლოო მოხმარების საქონელზე მატულობს. იმპორტის მაღალმა წილმა, რომელსაც მოვაჭრეთა მცირე ჯგუფი აკონტროლებს, შეიძლება დანიოს კონკურენციის დონე ამ ბაზრებზე და გამოიწვიოს არამონეტარული ინფლაცია. ინფლაცია შეამცირებს ექსპორტის პოტენციალს და გაზრდის ზედმეტ მოხმარებას.

სადღეისოდ, შემცირებულია სტანდარტული კონკურენტული უპირატესობები. როდესაც მზარდი სავაჭრო დეფიციტია, პირველივე დიაგნოზი ასეთია: ლარის გაცვლითი კურსი არ არის ოპტიმალური და შორს არის წონასწორული მნიშვნელობისგან. ამის რეცეპტი ლარის კიდევ უფრო გაუფასურება იქნებოდა, რომელიც ზედმეტად გამყარებულად ითვლება. თუმცა, ასეთი მიდგომა, რამდენიმე მიზეზის გამო, არ არის რეკომენდებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მიერ.

ეს მიზეზებია: ექსპორტის სტრუქტურა, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის და ბიზნესის უუნარობა, ისარგებლოს გაცვლითი კურსის კორექტირებით, ბანკების აქტივების სტრუქტურა და, ასევე, სოციალური საკითხები. ჩამოთვლილი მიზეზების გამო საქართველო იძულებულია, დღესაც ლარის უფრო მაღალი კურსით იცხოვროს, ვიდრე ეს ეკონომიკურად გამართლებული იქნებოდა.

საშუალოვადიან პერიოდში ეს საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა. ჯერჯერობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ შეცვლის სიტუაციას, ვინაიდან ისინი არ არის რეალურად ორიენტირებული მწარმოებლურობის ზრდაზე და გარეშე ზენოლას არ შეამსუბუქებს.

ქვეყნის მდგრადი განვითარება არ უნდა ემყარებოდეს იაფ მუშახელს და ფასების კონკურენტულობას. მაგალითად, ტურისტული მომსახურება, თურქეთთან შედარებით, არ არის კონკურენტული. ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ზოგიერთი სახეობა, ძალიან დაბალი ტარიფების პირობებში, ვერ უწევს კონკურენციას ადგილობრივ ბაზარზე თურქულ და სხვა ქვეყნის ანალოგებს. იგივე პრობლემა აქვს მსუბუქი მრეწველობის ნაწარმს ჩინურ იმპორტთან მიმართებაში, და ა.შ.

ამ გამოწვევის დასაძლეველად საქართველომ უნდა შექმნას ახალი კონკურენტული უპირატესობები ხარისხიანი და მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქტების ბაზაზე.

ამასთან, საქართველომ უნდა მოიპოვოს კონკურენტუნარიანობა თავისი აგროპროდუქციით და ტურისტული რესურსებით. რაც შეეხება ტრანსპორტირებას, ტრანზიტს და ლოგისტიკურ მომსახურებას, საქართველო უკვე იღებს სარგებელს თავისი სპეციფიკური ადგილმდებარეობით.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკა უცხოურ ფინანსურ წყაროებზე ძლიერ დამოკიდებულებას ქმნის.

დონორებისგან შემოსავლების მიღება მომავალში მეტნაკლებად გარანტირებულია სტრატეგიული ინვესტიციებით საქართველოზე გამავალ სატრანზიტო მარშრუტებში. ასეთი ვითარება, რომელიც დიდ დასავლურ ინტერესებს შეესაბამება, აშშ-ის ან ევროკავშირის მიერ ქვეყნის ინსტრუმენტალიზაციის რისკის მატარებელია. გარდა ამისა, შემოსავლები, რომლებიც ფულადი გზავნილების სახით შემოდის, მუდმივი პოლიტიკური რისკის ქვეშაა, რაც გასათვალისწინებელია რუსეთთან ურთიერთობაში.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმთავრესი შემზღვეველი ფაქტორი მისი ვინრო ეკონომიკური ბაზაა, რაც უცხოეთში ხანგრძლივად მცხოვრებ დიასპორებთანაა დაკავშირებული და შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. სიტუაციას ამძიმებს დასაქმების პრობლემა, განსაკუთრებით სოფლად. ამიტომ საჭიროა, აგრარულ რეგიონებში საბაზრო ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების რეალური ხელშეწყობა და სოფლის მოსახლეობის პოტენციური ემიგრაციის მართვა, რასაც სოფლად ეკონომიკის მწარმოებლურობის მოსალოდნელი ზრდა გამოიწვევს.

ამრიგად, ვინრო ეკონომიკური ბაზა საშუალოვადიან პერსპექტივაში მდგრადი განვითარების გადაულახავ ბარიერად რომ არ იქცეს, აუცილებელია არასრული დასაქმების აღმოფხვრა და წარმოების ზრდის უზრუნველყოფა საქსპორტო პოტენციალის გაუმჯობესების გზით, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენებით და ევროპული ნორმებისა და სტანდარტების დამკვიდრებით უნდა მოხდეს.

7. პოსტსაომარი სურათი

ცალკე საუბრის თემაა ის პრობლემები, რასაც დასაქმებას პოსტსაომარი ვითარება შეუქმნის. მსოფლიო ბანკის და გაეროს შეფასებით, მსოფლიო კრიზისის და აგვისტოს მოვლენების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკას რეცესია ემუქრება.

დონორების პროგნოზით, კონფლიქტამდე და კონფლიქტის შემდეგ ვითარება ასე შეიცვალა: თუ მანამდე წლიური ზრდა 9%-ის ფარგლებში ივარაუდებოდა, ახლა მისი მოცულობა 3,5%-მდე დაეცემა. ინფლაცია 10%-დან 8%-მდე იკლებს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კი 16,6%-დან 20,8%-მდე მოიმატებს.

მიმდინარე წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაგეგმილზე (2,1 მილიარდი დოლარი) თითქმის მილიარდი დოლარით ნაკლები შემოვა და მხოლოდ 1,2 მილიარდს შეადგენს. რაც შეეხება ბიუჯეტს, რომელიც წინასწარი გეგმით პროფიციტული უნდა ყოფილიყო, ამჟამად ის დონორების დახმარების სახით 480 მილიონამდე დოლარს საჭიროებს.

ამავე კვლევის მიხედვით, საუკეთესო შემთხვევაში გადავადდება ინვესტიციები მშენებლობაში, უძრავ ქონებაში, საცალო ვაჭრობასა და ტურიზმში. დონორების დასკვნით, სტაბილურობის აღდგენამდე ეჭვქვეშ დადგება ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია. დეფიციტია მოსალოდნელი საბიუჯეტო შემოსავლებშიც, რაც დონორების დახმარებით უნდა შეივსოს.

დონორების პროგნოზით, უახლოეს ხანებში უმუშევართა ოდენობა, სავარაუდოდ, 100-ი ათასით გაიზრდება და 350 ათასს მიაღწევს, რაც სამუშაო ძალის საერთო რიცხოვნობის მეხუთედია.

შესაბამისად, უმუშევრობის ზენოლა ეკონომიკურ ვითარებაზე კიდევ უფრო ზრდადი იქნება. აქედან გამომდინარე, ადგილობრივ დამსაქმებლებს და დასაქმებულებს, რომლებსაც პრეკარიზისულ პერიოდამდეც საკმაოდ აქტიურად ავიწროებდნენ იმპორტული ანალოგები, ამჟამად კიდევ უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდებიან და არა მხოლოდ შემოსავლებს შემცირება, არამედ სამუშაო ადგილების დაკარგვაც ელით.

8. ვაჭრობის სიკეთე

როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები და სპეციალისტები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან საგარეო ვაჭრობის უაღრესად მნიშვნელოვან როლზე ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპების მიღწევაში. მართლაც, ძნელია გადაჭარბებით შეაფასო საგარეო ვაჭრობის როლი განვითარებადი ქვეყნების, განსაკუთრებით კი მცირე ზომის განვითარებადი ეკონომიკებისთვის.

როგორია ასეთი ქვეყნების მსოფლიო ვაჭრობაში და საზოგადოდ, მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობის ხარისხი? რა სტრუქტურული და ინსტიტუციური ფაქტორები ახდენენ გადამწყვეტ გავლენას ვაჭრობასა და განვითარებაზე? რა ტენდენციები ყალიბდება ამ თვალსაზრისით თანამედროვე მსოფლიოში? როგორ განისაზღვროს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზით ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის პრიორიტეტები?

ამ საკითხების ანალიზისა და მონიტორინგის მიზნით გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ასოციაციის (UNCTAD) სამდივნომ შეიმუშავა ვაჭრობისა და განვითარების ინდექსი (ვგ-ინდექსი), რომელიც ქვეყნების ურთიერთშედარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ადგილზე სწორედ UNCTAD-ის ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის მიხედვით დაკვირვება საკმაოდ საინტერესო შედეგებს ავლენს.

ვაჭრობისა და განვითარების ინდექსი სამ ძირითად მიზანს ემსახურება:

ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობის მონიტორინგს;

ამ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზს;

ეროვნული და საერთაშორისო დონეზე პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფს საგარეო ვაჭრობის ფოკუსირებას განვითარებაზე და სიღარიბის შემცირებაზე.


სხვა სიტყვებით, ეს ინდექსი მონოდეტულია დაეხმაროს სახელმწიფოებს, განსაკუთრებით დაბალგანვითარებულ და ღარიბ ქვეყნებს, განსაზღვრონ, თუ რა გზით მოახდინონ ეფექტიანი ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკაში და მიიღონ სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობიდან ეკონომიკური ზრდის, სიღარიბის შემცირებისა და კეთილდღეობის ამაღლების მიზნით.

პირველ სქემაში კონკრეტულადაა მოცემული ვგ-ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური პრინციპები.

ვაჭრობის და განვითარების ინდექსი მიიღება 34 სპეციფიკური მაჩვენებლების სამი დონის აგრეგაციის შედეგად. პირველ დონეზე ხდება აღნიშნული 34 მაჩვენებლიდან 13 აგრეგირებული მაჩვენებლის გაანგარიშება, რომელთაგან 9 ახასიათებს ვაჭრობისა და განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს (ფაქტორული შეფასება) სტრუქტურული და ინსტიტუციურ ჭრილში, 2 – სავაჭრო პოლიტიკისა და განვითარების თვალსაზრისით. მე-12 და მე-13 მაჩვენებლებით კი შეფასებულია ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობა, როგორც შედეგი (შედეგობრივი შეფასება).

სქემა 1.

ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის კონსტრუქციური ჩარჩო



საბოლოოდ ვგ-ინდექსი მიიღება, როგორც ფაქტორული და შედეგობრივი შეფასებების მარტივი საშუალო არითმეტიკული (აგრეგაციის მესამე დონე).

ეს მაჩვენებლები, ერთი მხრივ, აღწერენ იმ ფაქტორებს, რომელთა გავლენითაც მიიღწევა ვაჭრობისა და განვითარების არსებული დონე ქვეყანაში, ხოლო მეორე მხრივ, ახასიათებენ ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობას.

ეკონომიკურ მაჩვენებელთა ასეთი ფართო წრის გამოყენება თვალსაჩინოს ხდის იმ ფაქტს, რომ მხოლოდ საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია არ იძლევა ვაჭრობის გაფართოებისა და განვითარების სასურველი დონის მიღწევის შესაძლებლობას. UNCTAD-ის მიერ 2007 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათლად ჩანს საქართველოს ძლიერი და სუსტი მხარეები ვაჭრობასა და განვითარების სფეროში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ინდექსის გამოყენების ინიციატივა არც ისე დიდი ხნის წინ წარმოიშვა. პირველი ასეთი გაანგარიშებები, 2005 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, 2006 წელს გამოქვეყნდა. მაშინ მასში მსოფლიოს 110 ქვეყანა მონაწილეობდა. 2007 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა 2006 წლის მაჩვენებლების საფუძველზე გაანგარიშებული ახალი მონაცემები, რომელთა გაანგარიშების სამუშაოებს ხელმძღვანელობდა მრჩეველთა საბჭო, ნობელის პრემიის ლაურეატის, პროფესორ ლაურენს კლეინის თავმჯდომარეობით.

9. საქართველოს ადგილი

რაც უფრო მაღალია ვაჭრობისა და განვითარების ინდექსი, მით უკეთესია ამა თუ იმ ქვეყანაში ამ სფეროში არსებული ვითარება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინდექსის ზრდა მოცემულ პერიოდში საგარეო ვაჭრობის გაფართოებასა და ეკონომიკის ზრდაზე მიუთითებს.

საქართველოს ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობის ანალიზისა და მისი დანარჩენ ქვეყნებთან შედარებისთვის ქვეყნების ოთხი ჯგუფია შერჩეული (თუმცა ცნობილია, ქვეყნების სხვა რეგიონული კლასიფიკაციებიც): განვითარებადი ქვეყნები, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნები, ევროკავშირში 2004 წელს შესული ქვეყნები (ევროკავშირი 10) და განვითარებული ქვეყნები.

აღნიშნული ოთხი ჯგუფი გარკვეული მოსაზრებით შეირჩა. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში შერჩევა ჩვენი ქვეყნის მიმდინარე სტატუსმა განაპირობა; სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნები იმის გამო შეირჩა, რომ საქართველო სწორედ ამ ჯგუფში შედის და მსგავსი სასტატო პირობები აქვს; ევროკავშირის ახალი წევრების ჯგუფთან შედარება აუცილებელია, რადგანაც ამ ქვეყნის მიერ ვაჭრობისა და განვითარების სფეროში მიღწეული შედეგები სულ ცოტა, „პროგრამა-მინიმუმს“, მაინც უნდა წარმოადგენდეს საქართველოსთვის, როგორც ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყნისთვის; და ბოლოს, განვითარებული ქვეყნების ჯგუფთან საქართველოს მონაცემების შედარება იმ მოსაზრებით მოხდა, რომ უკეთ გამოჩენილიყო, თუ რამდენად შორს ვართ განვითარების საუკეთესო მაჩვენებლებისგან.


როგორც ზემოთ მოტანილი სქემიდან ჩანს, UNCTAD-ის მიერ ვაჭრობისა და განვითარების დონის განმსაზღვრელი სტრუქტურული და ინსტიტუციური ფაქტორები დახასიათებულია ისეთი მაჩვენებლებით, როგორებიცაა: ადამიანური კაპიტალი, ფიზიკური ინფრასტრუქტურა, საფინანსო შუამავლობა, შიდა დაფინანსება, საერთაშორისო დაფინანსება, ინსტიტუციური ხარისხი, ეკონომიკური სტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და გარემოს სიჯანსაღე.

ადამიანური კაპიტალის შეფასება ჯანდაცვაზე განეული მთლიანი (სახელმწიფო და კერძო) ხარჯებისა და განათლებაზე განეული სახელმწიფო ხარჯების მთლიანი შიდა პროდუქტთან შეფარდებით ხდება. ეს ინდიკატორი გვიჩვენებს, თუ რამდენად ჯანმრთელი და კვალიფიციური მუშახელითაა უზრუნველყოფილი ეროვნული ეკონომიკების აღმშენებლობითი პროცესები.

საქართველოსთვის იგი 11-ს შეადგენდა, რაც 42 პუნქტით ნაკლებია ყველაზე მაღალ მაჩვენებელზე, რომელიც ვგ-ინდექსით მე-3 ადგილზე გასულმა დანიამ, მე-8 ადგილზე გასულმა ნორვეგიამ და მე-12 ადგილზე გასულმა ისლანდიამ აჩვენეს. ამ მაჩვენებლით საქართველო 123 ქვეყანას შორის 117-120-ე ადგილებს ინაწილებს ეკვადორთან (70-ე ადგილი ვგ-ინდექსით), განასთან (96-ე ადგილი) და ბანგლადეშთან (102-ე ადგილი) და მხოლოდ 2 პუნქტით უსწრებს გვინეასა (116-ე ადგილი) და ნიგერიას (121-ე ადგილი), ასევე 3 პუნქტით – პაკისტანს (103-ე ადგილი).

ადამიანური კაპიტალის ინდექსით საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველას ჩამორჩება. ქვეყნების ამ ჯგუფში აღნიშნული მაჩვენებელი 13-დან (აზერბაიჯანი) 35-დან (ბელარუსი) მერყეობს. ქვემოთ მოტანილი გრაფიკებიდან ნათლად ჩანს, რომ ადამიანური კაპიტალის მაჩვენებლებით ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით განვითარებადი ქვეყნების (21) და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს (26), ევროკავშირის – 10-ის (36) და განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან მიმართებაზე რომ არაფერი ვთქვათ (42).

სტატისტიკური მონაცემების სიმწირე საშუალებას არ გვაძლევს, რომ სრულყოფილად შევაფასოთ განათლებისა და ჯანდაცვაზე საქართველოს შინამეურნეობების დანახარჯების მოცულობა. თუმცა, ემპირიული მონაცემებით, ასეთი



ხარჯების განწესის საშუალება მათ უმეტესობას არ გააჩნია. სახელმწიფოს ხარჯებს რაც შეეხება, 2006 წელთან შედარებით, 2007 წელს ჯანდაცვაზე განწესებული ხარჯები 34,4%-ით, ხოლო განათლებაზე – 13,3%-ით გაიზარდა.

მიუხედავად ამისა, მათზე სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების კვლავ უმნიშვნელო წილი მოდის: ჯანდაცვაზე – 5%-ის, განათლებაზე – 7%-ის ფარგლებში. მთლიანი შიდა პროდუქტთან მიმართებაში ეს მონაცემები კიდევ უფრო ნაკლებია: 2007 წელს ჯანდაცვაზე განწესებული ხარჯების წილი მშპ-ში დაახლოებით 1,5%-ს, ხოლო განათლებაზე – 2,2%-ს შეადგენდა. ზემოთქმული ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, მწირი დაფინანსების პირობებში, ადამიანური კაპიტალის წარმოების პროცესში უცხოური ინვესტიციების გონივრულ გამოყენებას.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის შეფასება სამი მაჩვენებლის აგრეგაციით ხდება: საფარიანი გზების პროცენტული შეფარდებით ქვეყნის შიდა გზების საერთო სიგრძესთან, საპაერო სატვირთო გადაზიდვებით (მილიონი ტონა ერთ კილომეტრზე) და სატელეფონო ხაზების სიგრძით (1000 მცხოვრებზე). ეს მაჩვენებლები ახასიათებს ქვეყნის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პოტენციურ შესაძლებლობებს, რაც ჰაერივით აუცილებელია ვაჭრობის განვითარებისთვის.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აგრეგირებულმა მაჩვენებლებმა საქართველოსთვის 16 პუნქტი შეადგინა, რაც ერთი შეხედვით არც ისე დაბალია 123 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე, რომელიც 20-ს შეადგენს. თუმცა, ამ მაჩვენებლებით, მიუხედავად თავისი გეოპოლიტიკური და სატრანზიტო პოტენციალისა, საქართველო მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს უტოლდება და მკვეთრად ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს ქვეყნების ყველა დანარჩენ ჯგუფში: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-საც (საშუალო მაჩვენებელი 29), ევროკავშირი-10-საც (32) და განვითარებულ ქვეყნებსაც (45).

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის, უპირველესად კი, გზების, განვითარება ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. 2006-2009 წლებში დაგეგმილია 400 კმ საერთაშორისო და 340 კმ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, რაც უკვე ინტენსიურად ხორციელდება.

ამის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ფიზიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებელი საგრძობლად გაუმჯობესდება, თუ, რა თქმა უნდა, დაიხვეწება შესაბამისი დარგის სტატისტიკაც. ნიშანდობლივია, რომ სტატისტიკურ სამუშაოთა 2008 წლის სახელმწიფო პროგრამაში ტრანსპორტირებისა და კავშირგაბმულობის სტატისტიკა საერთოდ არ არის ნახსენები.

საფინანსო შუამავლობის განვითარების ხარისხის დასადგენად გამოყენებულია კერძო სექტორებზე გაცემული კრედიტის მთლიანი შიდა პროდუქტთან შეფარდება, რომელმაც საქართველოსთვის 4 პუნქტი შეადგინა, რაც 27-ჯერ ნაკლებია პირველ ადგილზე გასულ აშშ-სთან და 12,8-ჯერ ნაკლებია მეორე ადგილზე გასულ გერმანიასთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ასევე დაბალია და 3-დან (აზერბაიჯანი და სომხეთი) 18-მდე (ლატვია) მერყეობს. ქვეყნების ამ კატეგორიიდან იგი ყველაზე მაღალია ლატვიაში (18) და ესტონეთში (17), დანარჩენებში კი 3-დან 11-მდე ფარგლებშია. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ჯგუფში (სადაც შედის საქართველოც) და 8-ს შეადგენს, მაშინ როცა განვითარებული ქვეყნების ჯგუფში კი 51.

რა პარამეტრებზეა საფინანსო შუამავლობის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით?

თუ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურას გადავხედავთ, ნათელია, რომ საფინანსო შუამავლობა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია. მართალია, მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტში ჯერ-ჯერობით 2%-ის ფარგლებშია, მაგრამ ზრდის ტემპები ნამდვილად შთამბეჭდავია: 2005 წელს – 52,8%, 2006 წელს – 36,9%, 2007 წელს – 14,7%. ამავე პერიოდებში მშპ-ს ზრდის ტემპი შესაბამისად, 9,4%-დან და 12,4%-მდე მერყეობდა.

ბოლო სამი წელიწადში საბანკო სისტემის აქტივები 2,8-ჯერ გაიზარდა და მთლიანი შიდა პროდუქტის 42,4% შეადგინა, ნაცვლად 21,9%-ისა 2005 წელს. ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობა ამავე პერიოდში 2,7-ჯერ გაიზარდა და მშპ-ს 26,6% შეადგინა (2005 წელს – 14,6%), ხოლო დეპოზიტები – 2,4-ჯერ და მშპ-ს 16,8% შეადგინა (2005 წელს – 10,1%).

ამდენად, აქამდე აღწერილი სამი მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა ნაკლებად სახარბიელოა, განსაკუთრებით ადამიანური კაპიტალის ინდექსის მიხედვით. რაც შეეხება დანარჩენ ორს, თუ ბოლო წლებში ინფრასტრუქტურის მშენებლობის და საბანკო სისტემის ზრდის ტემპებს გავითვალისწინებთ, ვითარება უფრო იმედისმომცემია.

სტრუქტურული და ინსტიტუციური თვალსაზრისით კი, ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის მნიშვნელოვანი კომპონენტებია შიდა და საერთაშორისო ფინანსები.

შიდა ფინანსები აღწერილია ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა მთლიანი შიდა დაგროვების (მთლიანი შიდა პროდუქტს გამოკლებული საბოლოო მოხმარებლის ხარჯები) შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. ეს მაჩვენებელი საქართველოსათვის 41-ს შეადგენდა, რაც 4 პუნქტით დაბალია, ვიდრე საშუალოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების ჯგუფში და 11-13 პუნქტით დაბალია, ვიდრე აქ განხილული ქვეყნების დანარჩენი ჯგუფების მიხედვით.

როგორც ცნობილია, საბოლოო მოხმარების მაღალი წილი მთლიან შიდა პროდუქტში მოსახლეობის ცხოვრების დონის დაბალ ხარისხზე მიუთითებს, რის გამოც საზოგადოება იძულებულია მიღებული შემოსავლების მეტი ნაწილი (თუ მთლიანად არა) მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მიმართოს და ნაკლები – დაგროვებაზე. საგულისხმოა, რომ თუ 2005 წელს საბოლოო მოხმარების ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტში 84,3%-ს შეადგენდა, 2006 და 2007 წლებში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 94,1%-მდე და 92,5%-მდე გაიზარდა, რაც ნამდვილად დამაფიქრებელია.

საერთაშორისო ფინანსები შეფასებულია როგორც მთლიანი საგარეო ვალის მომსახურების (პროცენტულად მთლიან ეროვნულ შემოსავლებთან) და მოკლევადიანი ვალის (პროცენტულად მთლიანი საგარეო ვალთან) აგრეგატიული მაჩვენებელი. ჩვენი ქვეყნის მიხედვით მან 133 შეადგინა და გადააჭარბა საშუალო მაჩვენებელს განხილული ქვეყნების ყველა ჯგუფის მიხედვით (განვითარებული ქვეყნების გარდა), რაც ქვეყნის საგარეო დავალიანების ტვირთის სიმძიმეზე მეტყველებს.

ქვეყნის **ინსტიტუციური ხარისხი** რეგულაციის ხარისხისა და კორუფციის კონტროლის მაჩვენებლებით ხასიათდება. რეგულაციის ხარისხი ასახავს მთავრობის პოლიტიკას ბიზნეს-გარემოს, ფასების კონტროლის, საგარეო ვაჭრობისა და წარმოების განვითარების მიმართ. კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი კი, რომელიც სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებს ეყრდნობა, ასახავს კორუფციის გავრცელების ხარისხს. მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ინსტიტუციური ხარისხის უკეთესობაზე.

საშუალო მაჩვენებელი ყველაზე დაბალი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების ჯგუფში იყო (44), ყველაზე მაღალი კი – განვითარებული ქვეყნების ჯგუფში (92). საქართველოსთვის ამ მაჩვენებელმა 38 შეადგინა და ფაქტობრივად გაუსწრო მხოლოდ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა (ბელორუსია – 27, რუსეთი – 34, უკრაინა – 35, აზერბაიჯანი – 36) და აფრიკის ქვეყანას (კონგოს რესპუბლიკა – 15, ანგოლა – 23, ზიმბაბვე – 25, ბურუნდი – 31, სუდანი – 33, ნიგერია – 33, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა – 35).

აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია. არადა, სხვა ბოლოდროინდელი რეიტინგებით საქართველომ სწორედ ამ სფეროში გადაინაცვლა მონინავე პოზიციებზე. მაგალითად, მსოფლიო ბანკის რეიტინგით, ბიზნესის წარმართვის სიმარტივის მიხედვით საქართველომ 178 ქვეყანას შორის 2006 წელს 35-ე, ხოლო 2007 წელს მე-18 ადგილი დაიკავა. მართალია, ბიზნესის წარმართვის სიმარტივის ხარისხი ეკონომიკის რეგულაციის ხარისხის მხოლოდ ერთ კომპონენტს – ბიზნეს-გარემოს ლიბერალიზაციას ახასიათებს, მაგრამ ამ კომპონენტის როლი ძალზე მნიშვნელოვანია.

რეგულაციის ხარისხთან ერთად, ინსტიტუციური ხარისხი კორუფციის კონტროლის მაჩვენებლითაც ხასიათდება. საერთაშორისო ორგანიზაცია **Transparency International** ყოველწლიურად აქვეყნებს ქვეყნების რეიტინგებს კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით. ეს უკანასკნელი მენარმეთა და ანალიტიკოსთა მიერ კორუფციის აღქმის ხარისხს ასახავს და 10-ბალიანი სისტემით აფასებს. 10 ბალი კორუფციის არარსებობაზე მიუთითებს.

2006 წლის მონაცემებით, საქართველო 163 ქვეყანას შორის 2,8 ქულით 99-ე ადგილზე იყო. 2007 წელს საქართველომ კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი 20 პუნქტით გაიუმჯობესა და 179 ქვეყანას შორის 79-ე ადგილზე გადაინაცვლა და მნიშვნელოვნად გაუსწრო იმავე რეგიონულ ჯგუფში შემავალ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა სომხეთი (99-ე ადგილი), ალბანეთი (105-ე ადგილი), მოლდავეთი (111-ე ადგილი), ეკრაინა (118-ე ადგილი), რუსეთი (118-ე ადგილი), აზერბაიჯანი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი (150-ე ადგილი თითოეულს), თურქმენეთი (162-ე ადგილი) და უზბეკეთი (175-ე ადგილი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საეჭვოა, რომ ინსტიტუციური ხარისხის მაჩვენებელი ადეკვატურად ასახავდეს საქართველოში არსებულ ვითარებას. ყოველ შემთხვევაში, მომავალში ამ ინდიკატორის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შეიძლება ველოდოთ.

ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურა შეფასებულია ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. აღნიშნული მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალია განვითარებული და მაღალი – განვითარებადი ქვეყნებისათვის. 123 ქვეყანას შორის იგი 25-დან (გვინეა-ბისაუ) 66-მდე მერყეობს.

საქართველოს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 54-ს შეადგენს, რაც ახლოსაა განვითარებადი ქვეყნებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან. აშკარაა, რომ საქართველოს აგრარული პოტენციალი არასაკმარისადაა ჩართული ეკონომიკური ზრდის სამსახურში ანუ ქვეყნის ბუნებრივი რესურსები (კლიმატი, ნიადაგი, წყალი და ა.შ.) და მათზე დაფუძნებული ფარდობითი უპირატესობები ჯერ კიდევ ნაკლებად არის გამოყენებული.

საქართველოს ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარების რეალური პერსპექტივის განსაზღვრის თვალსაზრისით, დამაფიქრებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში სოფლის მეურნეობაზე განხორციელებული ხარჯების დინამიკა: 2005 წელი – 1,8%, 2006 წელს – 1,6%, 2007 წელს – 1,1%, 2008 წელს კი – 0,9%. ამ დარგის დაფინანსების მოცულობა აბსოლუტურ მაჩვენებლებშიც მცირდება. კერძოდ, 2007 წლისთვის სოფლის მეურნეობაზე განხორციელებული ხარჯებმა 2006 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 84% შეადგინა, ხოლო 2008 წლისთვის გათვალისწინებულმა დაფინანსებამ (49 მლნ ლარი) – 91,4%.

ამ ფონზე გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით, როდესაც ვეცნობით 2008-2012 წლების სამთავრობო პროგრამას „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, რომელიც სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ზრდას გვპირდება და მომავალი 5 წლის განმავლობაში ქვეყნის მთლიან ექსპორტში ამ დარგის პროდუქციის წილის 25%-მდე გაზრდას ვარაუდობს.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსის (პროცენტულად მთლიან შიდა პროდუქტთან) ბაზაზე ფასდება. ქვეყნების მიხედვით იგი საკმაოდ დიდ დიაპაზონში მერყეობს: 18-დან (ანგოლა, ზიმბაბვე) 108-მდე (ომანი, მალი).

საქართველო ამ მაჩვენებლით (84) დასავლეთის ქვეყნებს (ევროკავშირის ახალი წევრების ჯგუფი – 81 და განვითარებული ქვეყნების ჯგუფი – 89) მიუახლოვდა და მკვეთრად აჭარბებს საშუალო მაჩვენებლებს თავის რეგიონულ ჯგუფში (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და დსთ – 63).

ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხარისხის ასეთი მაღალი მაჩვენებელი აშკარა მიღწევაა, რადგან სწორედ 2006 წლიდან დაიწყო აღნიშნული ინდიკატორის როგორც ერთი, ისე მეორე კომპონენტის გაუარესება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან.

შედარებით კარგი შედეგი, სავარაუდოდ, სხვა ქვეყნებში ინფლაციის უფრო მაღალი დონით უნდა იყოს განპირობებული. ბოლოდროინდელი რეალების გათვალისწინებით, საქართველოს მორიგი შეფასება ამ სფეროში ნაკლებად სახარბიელო იქნება.

სხრილი 6.

მიმდინარე ანგარიშის დაფინანსებისა და ინფლაციის დინამიკა საქართველოში, 2005-2007

	2005	2006	2007
მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება მთლიან შიდა პროდუქტთან	10.9	14.9	19.0
ინფლაცია	6.2	8.8	11.0

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გარემოს სიჯანსაღე, როგორც კომპლექსური ფენომენი, რაოდენობრივად ისეთ მაჩვენებლებს აგრეგაციითაა დახასიათებული, როგორცაა მტკნარი წყლის წვდომა (მოსახლეობის წილი, ვისთვისაც ხელმისაწვდომია მტკნარი წყალი), სანიტარული წვდომა (მოსახლეობის წილი, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ადექვატური სანიტარული პირობები) და მოხმარებული ენერჯის ერთეულზე მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებული მთლიანი შიდა პროდუქტი. აღსანიშნავია, რომ ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით ეს მაჩვენებელი თითქმის ერთ დონეზეა – 14-17-ის ფარგლებში, საქართველოსთვის კი იგი 16-ს შეადგენს.

ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობა სავაჭრო პოლიტიკისა და განვითარების თვალსაზრისით ისეთი მაჩვენებლებითაა შეფასებული, როგორებიცაა საგარეო სავაჭრო გახსნილობისა (უცხოური საქონლის ადგილობრივ ბაზარზე შეღწევის ხარისხი) და უცხოური ბაზრების წვდომის ხარისხი. ამ მაჩვენებლებით საქართველო თანაბარ მდგომარეობაში არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებთან, არამედ დასავლეთ ევროპისა და განვითარებულ ქვეყნებთანაც კი.

ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს განვითარებამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში და საზოგადოდად, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში. სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობის ანალიზი უჩვენებს, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის კომპონენტი მნიშვნელოვნად განისაზღვრავს განვითარებადი ქვეყნების ვე-ინდექსის სიდიდეს. სავაჭრო გახსნილობის კომპონენტის წვლილი ვე-ინდექსში 15%-ს შეადგენს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 2007 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში საბაჟო ტარიფების უმეტესი ნაწილი განულდა, ქვეყნის საგარეო სავაჭრო გახსნილობის მორიგი მაჩვენებელი ალბათ მნიშვნელოვნად გაიზრდება, რასაც სამწუხაროდ ვერ ვეტყვით უცხოური ბაზრების წვდომის ხარისხზე.

მართალია, ევროკავშირმა საქართველოს **GSP+**-ის რეჟიმით სარგებლობის უფლება 2011 წლამდე გაუხანგრძლივა და 7,2 ათასი დასახელების პროდუქტია კვლავაც საბაჟო გადასახადის გარეშე შევა ევროპულ ბაზარზე, მაგრამ ეს აშკარად არასაკმარისი ნაბიჯებია: ჯერ ერთი, ამ შედეგით რეალურად, მხოლოდ 10-მდე დასახელების პროდუქტის (უპირატესად, თხილი, უალკოჰოლო სასმელები, იზოტოპები, მწვანელი, თაფლი და ფეროშენადნობები) მწარმოებლები თუ სარგებლობენ. ესეც არ იყოს, ქართული ექსპორტის უმთავრეს სისუსტეს არასატარიფო ბარიერები წარმოადგენს, როგორებიცაა პროდუქტის ტექნიკური, სანიტარული, ფოტოსანიტარული და სხვა სტანდარტების დაცვა.

დღეისთვის, UNCTAD-ის ვაჭრობის კონტროლის შეფასების კოდირების სისტემის მიხედვით, ასამდე განსხვავებული არასატარიფო ბარიერია. ბევრმა ქვეყანამ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა მათი გადალახვისთვის. საქართველოს კი ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი.

ზემოაღნიშნული ფაქტორული მაჩვენებლების აგრეგაციის შედეგად მიღებული ფაქტორული შეფასების მაჩვენებელი (559) წინა წლის დონეზე დარჩა, თუმცა, საქართველომ 69-ე ადგილიდან 73-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ვე-ინდექსის შედეგობრივი კომპონენტის მისაღებად კი, როგორც ზემოთ ავლინებთ, გამოიყენება ვაჭრობის მდგომარეობისა და ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებლები.

პირველი მათგანი დახასიათებულია ისეთი ინდიკატორებით, როგორებიცაა: საქონლის ექსპორტის წილი საქონლის მსოფლიო ექსპორტში, მომსახურების ექსპორტის წილი მომსახურების მსოფლიო ექსპორტში, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი ქვეყნიდან საქონლის ექსპორტისთვის და საგარეო ვაჭრობის (ექსპორტი-იმპორტის ჯამი) შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

ამ მაჩვენებლებით საქართველო, რომელსაც 90 ქულა აქვს მხოლოდ 6 პუნქტით უსწრებს განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს საშუალო მაჩვენებელს და ჩამორჩება განხილული ქვეყნების სხვა ჯგუფებს: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების ჯგუფს – 11 პუნქტით, ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების ჯგუფს – 18 პუნქტით და განვითარებული ქვეყნების ჯგუფს – 33 პუნქტით.

ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებელი ხუთ კომპონენტს მოიცავს: კეთილდღეობის ინდექსს, მოსახლეობის ნივინერების დონეს, დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, ქალებისა და მამაკაცების შემოსავლებს შორის თანაფარდობას და ქალების წილს მთლიან სამუშაო ძალასთან მიმართებაში. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს ქულამ 299 შეადგინა, რაც 36 პუნქტით სჭარბობს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს განვითარებადი ქვეყნების მიხედვით.

თუმცა, ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების ჯგუფის მიხედვით – 33 პუნქტით, ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების ჯგუფის მიხედვით – 45 პუნქტით და განვითარებული ქვეყნების ჯგუფის მიხედვით – 96 პუნქტით.

ვაჭრობის მდგომარეობისა და ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებლების აგრეგაციით მიღებული შედეგობრივი შეფასების ჯამური მაჩვენებელი 7 პუნქტით გაუარესდა და 390 შეადგინა, რის გამოც ამ მაჩვენებლით საქართველომ 51-ე ადგილზე გადაინაცვლა, ნაცვლად მანამდე დაკავებული 45-ე ადგილისა.

ამდენად, ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის გაუარესებასთან ერთად, მთელი რიგი სტატისტიკური მონაცემებით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება დანარჩენ ქვეყნებს, რაც არა მარტო ქვეყნის ექსპორტზე ორიენტაციის მნიშვნელობის შეუფასებლობაზე და ვაჭრობისა და განვითარების ინტეგრაციის დაბალ ხარისხზე მიუთითებს, არამედ ამ პროცესზე მოქმედი მთელი რიგი ფაქტორების თანმიმდევრული, კომპლექსური გადანყვევის აუცილებლობაზეც.

10. საიშედო სტატისტიკის მოლოდინში

ვაჭრობისა და განვითარების ინდექსი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა სერიოზული მოთხოვნების წინაშე ეროვნული სტატისტიკა, რომლისგანაც მსოფლიო ინფორმაციული სისტემა მოითხოვს ადეკვატურ მონაცემებს საერთაშორისო შედარებებისთვის. ამ მხრივ მთავრობებს სულ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, თუმცა ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ ან არ აცნობიერებს საიშედო სტატისტიკის ორგანიზაციის აუცილებლობას და, სამწუხაროდ, საქართველო მათ შორისაა.

მართალია, უკანასკნელ პერიოდში მთავრობის მხრიდან უკვე ანონსირებულია სტატისტიკის დეპარტამენტის ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან გამოყოფის და ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბების გეგმა, მაგრამ მისი რეალიზების კონკრეტული ვადები და მოდელი ჯერჯერობით მაინც ნაკლებად თვალსაჩინოა.

უდავო ფაქტია, რომ კარგი მმართველობა დამოკიდებულია კარგ ინსტიტუტებზე. ამ უკანასკნელთაგან სტატისტიკური სამსახური პრიორიტეტულია, რადგან მასზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული არა მარტო კარგი მმართველობა, არამედ დანარჩენი ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირებაც. ამა თუ იმ ქვეყნის სტატისტიკური სისტემა არა მარტო მოცემული ქვეყნის, არამედ გლობალური საინფორმაციო სისტემის ნაწილია.

ამა თუ იმ ქვეყნის მიღწევები თუ შეფერხებები დანარჩენი სამყაროსთვის მხოლოდ სრულყოფილი სტატისტიკის ენაზეა გასაგები და ხელმისაწვდომი. გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს სერიოზული ჩამორჩენა ზემოთ მოყვანილი ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების, განსაკუთრებით კი დაბალგანვითარებული ქვეყნების, მაჩვენებლებთან შედარებით, სწორედ სტატისტიკური მონაცემების სიმწირით იყოს გამოწვეული.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სტატისტიკა ძვირი ფუფუნებაა, მაგრამ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ თავისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები ამ სფეროში და უპასუხოს კითხვას: რა უფრო ძვირი უჯდება მას – კარგი სტატისტიკა, თუ სტატისტიკის არქონა. ალბათ, უდავოა, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოებას უფრო ძვირად უჯდება.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქართველო, რომელიც ევროპასთან ინტეგრაციისკენ ისწრაფვის, მთელი რიგი მაჩვენებლებით (ადამიანური კაპიტალი, ფიზიკური ინფრასტრუქტურა, საფინანსო შუამავლობა, შიდა ფინანსები, ინსტიტუციური ხარისხი, ეკონომიკის სტრუქტურა) მნიშვნელოვნად ჩამორჩება თვით ევროკავშირთან უახლოეს ნარსულში მიერთებულ ქვეყნებს. ამ მაჩვენებლებში განსხვავების შემცირებისკენ სწრაფვა შესაბამის სფეროში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის აუცილებელ ორიენტირად უნდა იქცეს.

როგორც ზემოთ მოტანილ მონაცემთა შედარებები ცხადყოფს, ვაჭრობისა და განვითარების სფეროში საქართველოს ჩამორჩენის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ადამიანური კაპიტალის როლის არაადეკვატური შეფასებაა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში იღებს სათავეს. ქვეყანაში განვითარებული ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმები განსაკუთრებით მწვავედ განათლების სისტემაზე აისახა, თუმცა, ამ სფეროში დაგროვილი პრობლემების დაძლევის ეფექტიანი სტრატეგია, გარკვეული მცდელობების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ გამოკვეთილა.

ყველაზე უხეში შეფასებებით, დღეისათვის საქართველოში სამუშაო ძალის ყველაზე აქტიური ნაწილი – დაახლოებით 45 წლამდე ასაკის მოსახლეობა არ ფლობს დასაქმებისა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დასაკავებლად აუცილებელ განათლებასა და პროფესიონალიზმს, სამუშაო ჩვევებსა და გამოცდილებას. ამ ასაკს ზემოთ მყოფი მოსახლეობა, რომელიც, მეტ-ნაკლებად, ყველა ამ ცენზს აკმაყოფილებს, სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, მოკლებულია თავისი პროფესიონალიზმისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის შესაძლებლობას. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრირებულია საზღვარგარეთ და მხოლოდ ფულადი გზავნილების სახით შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება.


ადამიანური კაპიტალის სათანადოდ შეუფასებლობა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ჩავარდნაა. ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების არასათანადო შეფასება და მისი ეკონომიკური ზრდის სამსახურში ჩაყენების რეალური ხედვის ნაკლებობა ეკონომიკური ზრდის მეორე ხელისშემშლელი ფაქტორია. ვგინდექის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საკმაოდ დაბალია ქვეყნის ფარდობითი უპირატესობების, კერძოდ, გეოპოლიტიკური, სატრანზიტო, აგრარული, რეკრეაციული პოტენციალის გამოყენების დონე.

საექსპორტო შესაძლებლობები გაფართოების მამოძრავებელ ძალად და კატალიზატორად განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე წვდომა უნდა იქცეს, რისთვისაც უნდა დაჩქარდეს საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის შექმნა. აღნიშნულის მიღწევა სახელმწიფოს პოლიტიკური ნებისა და ძალისხმევით გარეშე წარმოუდგენელია. მთავრობის ეკონომიკური პროგრამის ერთ-ერთ ნამყვან პრიორიტეტად საექსპორტო წარმოებაში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა უნდა იქცეს. ინვესტიციების, რომელთა სოლიდური წილი ადგილობრივ მრეწველობაში უნდა დაბანდღეს.

11. სამრეწველო ეკოლუსია

ქართული მრეწველობის დაფინანსების და მომავალი გამონვევების საკითხი პირდაპირ უკავშირდება როგორც საგარეო პოლიტიკის რეფორმირების, ასევე დასაქმების უმწვავეს პრობლემატიკას. 2007 წელს საქართველოს მრეწველობა ერთობ დინამიკური იყო. მისი წლიური ზრდის ტემპი, რომელმაც 13,8% შეადგინა, საგრძნობლად აღემატებოდა მთელი ეკონომიკის ზრდას (12,4%).

ეს ძლიერი ზრდა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესს ასახავს, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში შთამბეჭდავი გაუმჯობესების მიუხედავად, მაინც ძალზე ჩამორჩება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდამდე არსებულ დონეს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

მონაცემებით, 2007 წელს საქართველოს მშპ-ს 1989 წლის დონის მხოლოდ 61% შეადგინა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ შესწავლილ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ამ მხრივ მოლდავეთს აქვს (51%), საქართველოს მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანი კი, შესაბამისად, 137%-ით და 159%-ით, საუკეთესოთა შორის არიან მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათაც გადაიტანეს.

ზრდის მაღალი ტემპის მიუხედავად, მრეწველობის სექტორს ამჟამად საქართველოს ეკონომიკაში ძალზე მოკრძალებული წილი აქვს. რესურსებით მდიდარ ეკონომიკაში, როგორც აზერბაიჯანი და რუსეთი, ეს თანაფარდობა აშკარად მაღალია, თუმცა, იგი ასევე საკმაოდ მაღალია ისეთ შედარებით მცირე ზომის ეკონომიკებშიც, როგორცაა ესტონეთი და უნგრეთი, რომ არაფერი ვთქვათ ჩეხეთზე.

სტატისტიკური შედარება და ფაქტობრივი მონაცემებიც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო თავისი სამრეწველო პოტენციალის ძალზე მცირე ნაწილს იყენებს. ჯერაც არ მომხდარა გარდამავალი პერიოდის სანყის ეტაპზე მიყენებული ზიანის კომპენსირება, როდესაც ჯართი წლების მანძილზე, ქართული ექსპორტის უმსხვილეს სასაქონლო კატეგორიად იქცა.

ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიც არის, რომ პრივატიზაციით ძირითადად ინსაიდერებმა და არაეფექტიანმა „წითელ-მა დირექტორებმა,“ ისარგებლეს, რომლებმაც ხელთ იგდეს ინდუსტრიალური აქტივები. და ეს მოხდა საქართველოს მრეწველობის ზოგიერთ ტრადიციულ სექტორში გამოკვეთილი ფარდობითი უპირატესობების მიუხედავად, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივ რესურსებთან (ნოყიერი ნიადაგი ისეთ დამატებული ღირებულების შემცველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისთვის, როგორცაა ხილი, ბოსტნეული, ღვინო, ხორცი და რძე; ასევე მინისქვეშა მინერალური რესურსები), ჯერ კიდევ იაფ მუშახელთან (მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად სტატისტიკის მონაცემებით, რეალური ხელფასები 2003-2006 წლებში 77%-ით გაიზარდა) და აშკარად იდეალურ გეოგრაფიულ მდებარეობასთან იმ გზაჯვარედინზე, რომლითაც ევროპა დინამიკურ ეკონომიკურ ზონას – აზიას უკავშირდება.

12. სექტორული რენტბენი

საქართველოს მრეწველობის რეკონსტრუქციის ამჟამინდელი პროცესის ანალიზი სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით შეიძლება. ოფიციალური სტატისტიკით, 2007 წელს სამრეწველო წარმოების 70,1% გადამამუშავებელ მრეწველობაზე მოდიოდა. სიდიდით მომდევნო ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის მიწოდება (21,4%) და სამთომოპოვებითი მრეწველობა (8,5%). ბოლო ორ სექტორს დიდი, გამოუყენებელი პოტენციალი გააჩნია. ეს განსაკუთრებით ჰიდროენერჯის გამომუშავებაზე ითქმის, რომელიც პრიორიტეტულ სექტორად განისაზღვრა. ამ სექტორში საქართველოს ადვილად შეუძლია იქცეს მსხვილ ექსპორტიორად, განსაკუთრებით მეზობელ თურქეთში. საკმაოდ შთამბეჭდავია სამთომოპოვებითი მრეწველობის განვითარებაც.

რაც შეეხება გადამამუშავებელ მრეწველობას, აქ მდგომარეობა განსხვავებულია. 2007 წელს ამ სექტორში ოთხი ქვესექტორი დომინირებდა (მთელი წარმოების თითქმის 84%): ლომის წილი (43%) საკვების, სასმელის და თამბაქოს წარმოებაზე მოდიოდა, მას 17%-ანი წილით პირველადი და წარმოებული ლითონის პროდუქტები მოსდევდა (ძირითადად, ფეროშენადნობები, რომელიც დღეს საექსპორტო საქონლის პირველ კატეგორიას წარმოადგენს). მომდევნო პოზიციები 15%-იანი წილით სხვა არალითონისშემცველ მინერალურ პროდუქტებს (უპირატესად, ცემენტი) და 9%-იანი წილით ქიმიური მრეწველობის პროდუქციას ეკავა.

თუ თითოეული ქვეკომპონენტის დინამიკას დავაკვირდებით, დავინახავთ საკმაოდ დიდ სხვაობას საკვები, სასმელი და თამბაქოს წარმოებისა და ყველა სხვა სექტორს შორის. მათი ზრდის ტემპი ნომინალურ გამოსახულებაში 2005-2007 წლებში ასეთი იყო: სხვა არალითონისშემცველი მინერალური პროდუქტები –171%, რეზინი და პლასტმასი – 94%, პირველადი და წარმოებული ლითონის პროდუქტები – 84%, ქიმიური პროდუქტები – 61%, ქალაქის წარმოება და ბეჭდვითი პროდუქცია – 61%, სატრანსპორტო აღჭურვილობა – 59%, საკვები, სასმელი და თამბაქოს პროდუქცია – 20%.

თუ გავითვალისწინებთ საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდის შედარებით მაღალ ტემპს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ინდუსტრიის ეს სექტორი პრაქტიკულად არ გაზრდილა ან ოდნავი კლება ცი განიცადა, მიუხედავად იმისა, რომ საკვები პროდუქტების ადგილობრივი მოხმარება საკმაოდ ინტენსიურია. განსაკუთრებით, ისეთ პროდუქტებთან მიმართებაში, როგორცაა რძის ნაწარმი, ხილი და ბოსტნეული.

საკვები პროდუქციის სექტორის ნაკლები განვითარება სერიოზული შეშფოთების საგანია. ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ქართული ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტზე რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს გავლენით. სამწუხაროდ, ეს უფრო საქართველოს სოფლის მეურნეობის ღრმა სტრუქტურულ კრიზისზე მიუთითებს, რომლის დასაძლევად ხელისუფლებას ჯერჯერობით რაიმე დამაჯერებელი კომპლექსური ეკონომიკური პოლიტიკა არ წარმოუდგენია.

საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომელზეც მთლიანი დასაქმების 55,6% მოდის, წარმოების მოცულობისა და მწარმოებლურობის დონის მხრივ ისეთ ნიშნულებზე „გაიყინა“, რომლებიც საჭარის სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნების დონეებს თუ შეესაბამება (მაგალითად, ერთ ძროხაზე რძის წლიური წარმოება, გაეროს-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 937 კგ-ს შეადგენს მაშინ, როდესაც სომხეთში შესაბამისი მაჩვენებელი 1965 კგ, ხოლო რუსეთში – 3221 კგ-ია).

მზარდი ადგილობრივი მოთხოვნის მიუხედავად, 2007 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 1989 წლის დონეს მხოლოდ 8%-ით აღემატება, მაშინ, როდესაც სამრეწველო პროდუქციის ზრდამ იმავე პერიოდში 85% შეადგინა. კვების მრეწველობის უმთავრესი პრობლემა საქართველოში პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების არსებობაა. აგრარული პროდუქციის გადამამუშავებელმა ყველა წამყვანმა კომპანიამ, ნედლეული ან უცხოეთიდან უნდა შემოიტანოს ან ადგილზე საკუთარი სანედლეული ბაზის შექმნაში უნდა მოახდინოს ინვესტირება, რაც იმ ფინანსური და მენეჯერული რესურსების სხვა მიმართულებით წარმართვას ინვესს, რომლებსაც კომპანიები უკეთ გამოიყენებდნენ ძირითად ბიზნესში.

საქართველოს მრეწველობის განვითარების მეორე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოება შესაბამის განათლებაზე განუვლი დანახარჯების სიმცირეა. არადა, ყველა კარგი მაჩვენებლების მქონე ქვეყანა (მაგალითად, სლოვენია და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები) განვითარების სტრატეგიას უფრო და უფრო მაღალტექნოლოგიურ საქმიანობებზე აფუძნებენ, აგებენ და თითქმის 4-ჯერ მეტს აბანდებენ ამ სექტორში, ვიდრე საქართველო. სხვა ქვეყნები კი, მაგალითად, მოლდოვა, რომელიც საქართველოს მსგავსად უცხოეთში მასობრივი მიგრაციით ზარალდება, იძულებულია ბიუჯეტის დიდი ნაწილი ადამიანური კაპიტალის ექსპორტის კომპენსაციაზე დახარჯოს, ვინაიდან იცის, რომ ემიგრაციაში ხშირად ყველაზე ნიჭიერი და მწარმოების უნარით დაჯილდოვებული მოქალაქეები მიდიან.

ადამიანურ კაპიტალში არასაკმარისი ინვესტირების უშუალო შედეგია მუშახელის ანაზღაურების სწრაფი ზრდა. მრეწველობაში საშუალო თვიური ხელფასი 2004 წლის 201 ლარიდან (104 დოლარი) 2006 წელს 308 ლარამდე (173 დოლარი), 2007 წლის ბოლოსთვის კი 396 ლარამდე (236 დოლარი) გაიზარდა.

განათლება რომ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს არ წარმოადგენდეს, მუშახელის ანაზღაურების ზრდა გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველოში კვლავ არის მასშტაბური ფარული უმუშევრობა და ფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ერთ მესამედზე ნაკლებს და მთელი მოსახლეობის 13%-ს შეადგენს. ამიტომ მუშახელზე მოთხოვნის ზრდას ახალი ადამიანების დასაქმება უნდა გამოეწვევია და არა ხელფასების ზრდა.

მეორე მიზეზი, რასაც ასეთი შედეგი უნდა გამოეღო, არის ის, რომ დღეს ძალზე ცოტა ეკონომიკა თუ მოიძებნება მსოფლიოში, სადაც ისე ადვილია მშრომელთა დაქირავება და გათავისუფლება, როგორც საქართველოში.

ფაქტობრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ განათლების პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, საშუალო დონის მენეჯმენტს ეხება. საქართველოში კვლავ არის კარგი განათლების მქონე ელიტა, რომელსაც ხშირად განათლება დასავლეთში აქვთ მიღებული, მაგრამ არ არის საშუალო დონე, რომელიც სტრატეგიულ როლს თამაშობს განვითარებულ ეკონომიკებში.

13. „დიეტური“ ინვესტირება


სათანადო დონის მუშახელთან ერთად, ინვესტიციები მანქანა-დანადგარებსა და სხვა კაპიტალში ნებისმიერი ინდუსტრიული განვითარების მეორე მთავარი კომპონენტია, ვინაიდან მრეწველობა, ჩვეულებრივ, უფრო კაპიტალტევადი დარგია, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორები, კერძოდ, მომსახურების სექტორი.

ამ თვალსაზრისით, ბოლო სტატისტიკური მონაცემები არაერთგვაროვან სიგნალებს გვაძლევს. 2007 წელს ძირითად კაპიტალში მხოლოდ 311 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც საქართველოში დაბანდებული მთელი ინვესტიციების 6%-ს შეადგენს. ინვესტიციების ზრდამ მრეწველობაში 2007 წელს წინა წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოსახულებაში 50% შეადგინა. მაგრამ თუ მწარმოებელთა ფასების ინდექსის ზრდას გავითვალისწინებთ, აღნიშნული საინვესტიციო ნაკადების მოცულობა, გაუმჯობესებული ბიზნეს-კლიმატის მიუხედავად, უფრო ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე ათწლეულის დასაწყისში იყო.

სამრეწველო პროდუქციის დინამიკასა და მრეწველობაში ინვესტირების დინამიკას შორის ძალზე დიდი განსხვავების პირველი მიზეზი ის არის, რომ მიმდინარე ზრდა ძირითადად ეკონომიკის აღდგენის პროცესს ასახავს, რადგან საქართველო ჯერაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდამდელ არსებულ წარმოების დონეს.

ამიტომ, სამრეწველო კომპანიებმა ჯერჯერობით მხოლოდ გამოუყენებელი სიმძლავრეების ამოქმედება შეძლეს და თავიანთი მცირე ინვესტიციები წარმოების პროცესის „მინიმალურ“ გაუმჯობესებაში დააბანდეს. პრაქტიკულად არანაირი ინვესტიცია არ იყო საჭირო სამრეწველო შენობა-ნაგებობებსა და ძირითად ინფრასტრუქტურაში. მზარდი რაოდენობით მხოლოდ მანქანა-დანადგარები იქნა შესყიდული, რომელთა იმპორტიც 2007 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ სამრეწველო კომპანიების „თავისუფალი ზრდის“ პერიოდი დასასრულს უახლოვდება. სიცოცხლისუნარიანი სამრეწველო კომპანიების უმეტესობა უკვე თითქმის სრული სიმძლავრით მუშაობს და ცდილობს ახალი სიმძლავრეების ამოქმედებით დააკმაყოფილოს გაზრდილი მოთხოვნა, რომელსაც მოცემულ ეტაპზე უმთავრესად ადგილობრივი ბაზარი ქმნის. ამ თვალსაზრისით, სამრეწველო ინვესტიციების მატება შეიძლება ახალი ტენდენციის პირველი ნიშანი იყოს.



14. დაკრედიტების ზიზზაბები


ბოლო 5 წელიწადში საბანკო სისტემის განვითარება მართლაც შთამბეჭდავია. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2003 წლის მიწურულსა და 2007 წლის დასასრულს შორის საბანკო სექტორის მოთხოვნა რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ 5,9-ჯერ – 748 მილიონი ლარიდან 4421 მილიონ ლარამდე გაიზარდა, მთლიანი კრედიტის მშპ-თან შეფარდება კი 8,7%-დან 26,1%-ს მიაღწია.

სანამ დეტალურად განვიხილავთ საკრედიტო პორტფელის დინამიკას, საინტერესოა საქართველოს საბანკო სისტემის რაოდენობრივი მონაცემების სხვა გარდამავალ ქვეყნებთან შედარება ევრობანკის (EBRD) ციფრებზე დაყრდნობით. გარდამავალი ეკონომიკის 20 ქვეყანას შორის, კერძო საწარმოების ადგილობრივი დაკრედიტების მშპ-თან შეფარდებების მიხედვით საქართველო ნაკლებად შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. უფრო დაბალი მაჩვენებლები ქვეყანათა ამ ჯგუფში მხოლოდ აზერბაიჯანს, სომხეთსა და ყირგიზეთს ჰქონდათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ციფრების ყურადღებით გაანალიზება საჭირო. პირველი შეფარდება, ალბათ, არ არის ძალზე მნიშვნელოვანი, ვინაიდან ბევრი კომპანია საქართველოშიც და საზღვარგარეთაც სახსრებს გარეშე (არა-ადგილობრივი) წყაროებიდანაც სესხულობს. მეორე მიზეზი, რის გამოც სიფრთხილე გვმართებს ის არის, რომ მთლიანი კრედიტის მშპ-თან შეფარდება ქვეყნების მიხედვით არ არის ერთგვაროვანი. ეს მაჩვენებელი, ბუნებრივია, ქვეყნების განვითარების დონეს ასახავს.

ჩვეულებრივ, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მაღალია მისი კრედიტების შეფარდება მშპ-თან. ამიტომ აზრი არა აქვს საქართველოს დაკრედიტების მშპ-თან შეფარდების შედარებას, მაგალითად, სლოვენიის შესაბამის მაჩვენებელთან, ვინაიდან ამ ქვეყნის მშპ 11-ჯერ აღემატება საქართველოსას.

თუ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დონესა და დაკრედიტების მშპ-თან შეფარდების კორელაციას მოვხედნით და თუ ფოკუსს ექსკლუზიურად შინამეურნეობათა დაკრედიტების მშპ-თან შეფარდებაზე გავაკეთებთ, რომელიც გამორიცხავს დიდ ცდომილებას სამრეწველო კომპანიების მიერ უცხოეთიდან მოზიდულ ფინანსებში, სულ სხვა სურათს მივიღებთ:



სხრილი 7.

	აღმართობის კარგი კარგი სანაშრომის / მშპ (%)	აღმართობის კარგი შინამეურნეობის / მშპ (%)	მთლიანი კარგი არასახელმწიფო მსახურების / მშპ (%)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)
ესტონეთი	78.4	38.7	117.1	12209
ლატვია	77.8	38.0	115.9	8760
ხორვატია	68.7	38.2	106.9	9582
სლოვენია	67.1	17.0	84.1	19218
უნგრეთი	54.6	18.5	73.1	11127
ლიტვა	47.7	17.9	65.6	8770
ბულგარეთი	47.4	16.6	64.0	4088
ყაზახეთი	48.1	15.8	63.9	5221
უკრაინა	44.9	15.3	60.2	2258
ჩეხეთი	39.9	16.5	56.4	13896
სლოვაკეთი	39.2	13.1	52.3	10250
პოლონეთი	33.4	15.6	49.0	8939
ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია	31.0	9.6	40.6	3113
რუსეთი	31.0	7.1	38.1	6874
რუმინეთი	26.3	11.2	37.5	5617
მოლდოვა	27.9	2.9	30.8	988
საქართველო	19.7	5.6	25.3	1721
აზერბაიჯანი	12.4	4.1	16.5	2363
სომხეთი	8.7	4.1	12.8	1989
ყირგიზეთი	10.5	2.2	12.7	549

წყარო: EBRD

საქართველოს საბანკო სექტორი ნაკლებად განვითარებული კი არა, „ზეგანვითარებული“ შეიძლება იყოს ეკონომიკის დანარჩენ დარგებთან შედარებით.

საქართველოს მშპ 2006 წელს 2,5-ჯერ მეტი უნდა ყოფილიყო, რათა შინამეურნეობათა დაკრედიტების დონე „გამართლებულად“ ჩათვლილიყო. 2007 წელს უკვე შინამეურნეობათა „ჭარბი დაკრედიტების“ ზონაში უნდა შევსულიყავით, ვინაიდან კრედიტები ნომინალურ გამოსახულებაში 103%-ით გაიზარდა და მშპ-ის 9,3% შეადგინა, რაც უფრო მაღალია, ვიდრე ეს რუსეთს 2006 წელს ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 4-ჯერ აღემატება საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს.

სტატისტიკური მონაცემები აშკარად აისახება ყოველდღიურ ცხოვრებაში, სადაც სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობის ბუმის აშკარა ნიშნები იკვეთება. მაგალითად, ავტომობილების იმპორტი, რომელიც ძირითადად სამომხმარებლო კრედიტებით ფინანსდება, 2004 წლის 116 მილიონი დოლარიდან 2007 წლის 370 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, 2006-2007 წლებში მაცივრებისა და სარეცხი მანქანების იმპორტმა კი 112%-ით იმატა. თბილისში კრედიტებით პარფიუმერიისა და ტანსაცმლის შექმნაც კი შესაძლებელი გახდა.

შინამეურნეობათა დაკრედიტების ასეთი დინამიკის პირობებში, რომელიც სწრაფი ზრდით ხასიათდება, ბანკებისთვის მრეწველობა არ წარმოადგენს სტრატეგიულ სექტორს. მართალია, მრეწველობის დაკრედიტება 2003 წლის ბოლოს მინიმალური, 18 მილიონი ლარის დონიდან 2007 წლის ბოლოს 211 მილიონ ლარამდე გაიზარდა, მაგრამ განხევრდა მისი წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში – 2003 წელს მრეწველობაზე ბანკების საკრედიტო დაბანდებათა 21,6% მოდიოდა, ოთხი წლის შემდეგ კი ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 11,9% შეადგინა.

მსგავსი სურათია იურიდიული პირების დაკრედიტების ქვეკომპონენტშიც. 2003 წელს მრეწველობაზე მოდიოდა მისი 32,9%, 2007 წელს კი ამ სექტორის წილმა მხოლოდ 18,4% შეადგინა. ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალია ვაჭრობის დაკრედიტების წილზე, რომელსაც ბანკები განსაკუთრებით სწყალობენ (47,7%) და თითქმის უთანაბრდება მშენებლობისა და უძრავი ქონების დაკრედიტების წილს (15,5%).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ქვეკომპონენტი მხოლოდ იურიდიულ პირებს ეხება და არ მოიცავს ინდივიდებზე გაცემულ იპოთეკურ სესხებს, რომლებიც ბოლო წლებში საკმაოდ შთამბეჭდავად იზრდება, დავინახავთ, რომ ბანკები ძირითადად ფოკუსირებულნი არიან მოხმარების (იმპორტის) და უძრავი ქონების დაფინანსებაზე. ეს ნამდვილად არ არის პოზიტიური შედეგი, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ პოლიტიკურ და მაკროეკონომიკურ გამოწვევებს, რომლებსაც საქართველო კვლავ აწყდება თავისი ეკონომიკის გაჯანსაღების გზაზე.

15. საბანკო წესები

საქართველოს საბანკო სექტორი, რომელმაც ძალიან სწრაფი რაოდენობრივი ზრდა განიცადა, მაგრამ თვისობრივად ბევრი არაფერი შეცვლილა, ახლა განვითარების ახალ ფაზაში უნდა შევიდეს. იმისთვის, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოს გრძელვადიან მდგრად განვითარებაში, იგი უფრო მეტად უნდა გახდეს ფოკუსირებული მსოფლიო ბაზრებზე სავაჭრო პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების დაფინანსებაზე. თუ არა და საქართველო შეიძლება იმ ქვეყნების გრძელ სიაში აღმოჩნდეს (მაგალითად, ჩილე 1982 წლის, მექსიკა 1994 წლის ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები 1997 წლის კრიზისებამდე), რომლებმაც მწვავე კრიზისები გადაიტანეს ძირითადად საბანკო სისტემების განვითარების არაადეკვატური მოდელების გამო.

თუ ბანკებისა და ინდუსტრიული სექტორის ურთიერთობას დავაკვირდებით, თვისობრივი ევოლუციის დაწყების ძალზე ფერმკრთალ ნიშნებს დავინახავთ. მაგალითად, მრეწველობაზე გაცემული კრედიტები სულ უფრო მეტადაა დენომინირებული ლარში (2007 წელს საკრედიტო პორტფელის 40% მაშინ, როდესაც 2003 წელს ეს მაჩვენებელი 11,1% იყო), რაც მსესხებლებისთვის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლებადობის ნაკლებ რისკს შეიცავს.

მაგრამ, მნიშვნელოვანი ევოლუცია არ შეინიშნება კრედიტის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რაც ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, როდესაც საქმე გრძელვადიან ინვესტიციებთან გვაქვს. 2003 წელს ერთ წელზე მეტი ვადიანობის იყო სამრეწველო კომპანიებისთვის გაცემული სესხების 48,8%, 2005 წელს ამ კატეგორიის სესხები 64,7%-ს აღწევდა, მაგრამ შემდეგ მათი წილი შემცირდა და 2007 წელს მხოლოდ 59,9% შეადგინა. სამრეწველო კრედიტების წილი ერთ წელზე მეტი ვადიანობის კრედიტების საერთო მოცულობაში 2007 წელს დიდი არ იყო – სულ 15,5%, ანუ ამ კატეგორიის მთელ კრედიტებში, რომლებმაც 2 მილიარდ 34 მილიონი ლარი შეადგინა, მხოლოდ 315 მილიონ დოლარს აღწევდა.

ეკონომიკურ ისტორიაში ხშირად დავობენ, რომ ბანკების სურვილის, დააფინანსონ მრეწველობა, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მათი შესაძლებლობა, მოიზიდონ გრძელვადიანი რესურსები. თუ ეს შესაძლებლობა არ არსებობს, მრეწველობის დაფინანსების მსურველი ბანკები შეიძლება თავიანთი მოკლევადიანი ვალდებულებების (დეპოზიტები) გრძელვადიან აქტივებთან (გრძელვადიანი სესხები სამრეწველო კომპანიებში გრძელვადიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად) შეუთავსებლობის პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ამან კი შეზღუდული ლიკვიდურობის პერიოდებში, რისი მომსწრენიც თუნდაც ამჟამად ვართ, ბანკების გაკოტრება შეიძლება გამოიწვიოს.

კონტინენტურ ევროპაში მანამდე, სანამ 1980-იან წლებში დიდი ფინანსური დერეგულირება მოხდებოდა, გრძელვადიანი აქტივების დაფინანსებაში საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობდნენ სახელმწიფოები. ისინი პირდაპირ აფინანსებდნენ გრძელვადიან აქტივებს განვითარებული ბანკების მეშვეობით, ან ირიბად, ეროვნული ბანკების გრძელვადიანი პორტფელის რეფინანსირების გზით. უპირატესობა სამრეწველო კომპანიების ბალანსებში ამ დროს აქციასთან შედარებით კრედიტს ენიჭებოდა, ვინაიდან აღნიშნულ კომპანიებს შედარებით ადვილად მიუწვდებოდათ ხელი სუბსიდირებულ კრედიტებზე.

კონტინენტური ევროპის ამ მოდელმა საშუალება მისცა შესაბამისი ქვეყნების ეკონომიკებს, სწრაფად დასწოდონ ბევრად უფრო წინ წასულ ბრიტანულ და ამერიკულ ეკონომიკებს. გასაკვირი არ არის, რომ 1930-იან წლებში აღნიშნული

მოდელის კოპირება სისტემატურად ხდებოდა ლათინურ ამერიკაში (განვითარების ბანკი ბრაზილიაში, ეკონომიკური განვითარების სააგენტო ჩილეში, განვითარების საფინანსო ინსტიტუტი მექსიკაში), მოგვიანებით კი იაპონიაში, კორეასა და ტაივანში. მაგრამ, დროთა განმავლობაში ეს მოდელი მძიმე ტვირთად დაანვა სახელმწიფო ბიუჯეტებს, რამაც მისი თანდათანობით შეზღუდვა, ბევრ შემთხვევაში კი გაუქმებაც გამოიწვია, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში განვითარების ბანკები კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამის კარგი მაგალითია გერმანული KfW ჯგუფი – გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკის ცნობილი ინსტიტუტი.

დღეს საქართველოშიც მსჯელობენ სახელმწიფოს შესაძლო როლზე „პროდუქტიული“ ეკონომიკის დაფინანსებაში. უფრო მეტიც, სახელმწიფო „იაფი სესხის“ ინიციატივით გამოვიდა და დღეს მის გაფართოებასაც აპირებს. ბევრმა ეს ინიციატივები გააკრიტიკა, როგორც პოპულისტური რეაგირება სოციალურ პრობლემებზე, რომლებიც ბოლოდროინდელი პოლიტიკური უკმაყოფილების საფუძველი გახდა. ცხადია, არც უამისობაა, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღებებს შორის არსებობს განცდა, რომ მეორე თაობის რეფორმებმა, რომლებიც ხელს უწყობს ინვესტიციებსა და სამუშაო ადგილების შექმნაზე ორიენტირებულ მაკროეკონომიკურ ზრდას, მოხმარებასა და არამდგრად იმპორტზე დაფუძნებული ნაკლებადეფექტიანი ზრდა უნდა ჩაანაცვლოს.

მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკოსები მუდმივად უსვამდნენ ხაზს უფრო მაკროეკონომიკური ზრდის აუცილებლობას, იაფი სესხებით პროდუქტიული ეკონომიკის დაკრედიტების იდეა ნაადრევია და ალბათ, უსარგებლოც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სახელმწიფოს მმართველობის ბოლოდროინდელი გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ მიუღწევია ეფექტიანობის და ნეიტრალობის ისეთი დონისთვის, რომელიც საკმარისი იქნებოდა სუბსიდირებული დაკრედიტების განსაკუთრებით მგრძობიარე გამოწვევების საპასუხოდ.

მეორეც, ჯერჯერობით არ ჩანს ასეთი სქემების ამკარა აუცილებლობა: კომერციული ბანკების კაპიტალის შეფარდება კერძო სექტორზე გაცემულ მთლიან კრედიტთან საუკეთესოა (სებ-ის მონაცემების მიხედვით 32,1% 2007 წლის ბოლოს), რაც საშუალებას აძლევს ბანკებს, გრძელვადიანი კრედიტები თავიანთი კაპიტალიდან დააფინანსონ. გარდა ამისა, გრძელვადიანი პორტფელის რეფინანსირებისათვის მათთვის ადვილად ხელმისაწვდომია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების იაფი გრძელვადიანი რესურსები. ეს ინსტიტუტები თავად არიან მზად, უშუალოდ დააფინანსონ სესხით და უზრუნველყონ კაპიტალით უფრო მეტი სამრეწველო კომპანია საქართველოში.

კომერციული ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან დისკუსიების დროს ხშირად იკვეთება წუხილი, რომ მათ მეტი სამრეწველო პროექტის დაფინანსება სურდათ, მაგრამ ვერ მოძებნეს საკმარისი რაოდენობის კარგი პროექტი. ამრიგად, პრობლემა არა ვალდებულებების, არამედ აქტივების მხარესაა. თუმცა, არც მეორე მხარეა პრეტენზიების გარეშე: ბევრი სამრეწველო კომპანია ასევე ჩივის, რომ მათთვის არ არის ადვილი საბანკო კრედიტის მიღება და ძალზე ცოტა ბანკს თუ ჰყავს გამოცდილი კორპორატიული ბანკირები, რომ არაფერი ვთქვათ საინვესტიციო ბანკების არსებობაზე.

ამაშიც არის გარკვეული სიმართლე, რასაც განათლებაში ზემოთ ნახსენებ პრობლემებთან მივყავართ. მრავალი ნიჭიერი ადამიანის ემიგრაციის შედეგად, როდესაც ბევრი ქართველი უცხოეთში წარმატებული მენარმეა, საქართველო ახლა დეკაპიტალიზაციის წინაშე დგას. ბევრი კარგი საინვესტიციო შესაძლებლობების მიუხედავად, ცოტაა საინვესტიციო პროექტი, ვინაიდან ძალიან ცოტაა კვალიფიციური მენარმე.

ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ბანკებმა საინვესტიციო ბანკებივით დაიწყეს მოქმედება. თავიანთ სააქციო კაპიტალს ზოგიერთი მათგანი საკუთარ კლიენტ-კომპანიებში აბანდებენ: ეს პროცესი საკმაოდ თვალსაჩინო იყო 2007 წელს, როდესაც ადგილობრივი ბანკების კაპიტალური ინვესტიციები იანვარში 49 მილიონი ლარიდან დეკემბერში 215 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

რადგან ბანკები, ჩვეულებრივ თავიანთ ინვესტიციებს შედარებით მოკლე პერიოდით საზღვრავენ, ისინი ალბათ, შეეცდებიან მოგება მიიღონ ამ კომპანიების აქციების საფონდო ბირჟაზე კოტირებით. ამან შეიძლება თანდათან ადგილობრივი ფინანსური ბაზრის რეალურ განვითარებაზე მიგვიყვანოს, რომელიც დღეისთვის ძალზე შეზღუდულია (2006 წელს საფონდო ბირჟის მთლიანი კაპიტალიზაცია მშპ-ის მხოლოდ 8,3%-ს შეადგენდა, როდესაც რუსეთის შესაბამისი მაჩვენებელი 104% იყო).

16. კვანძის გასაკვეთად

როგორც ვნახეთ, არსებობს ინსტიტუციური შეუსაბამობა ბანკებსა და სამრეწველო კომპანიებს შორის ერთმანეთის მოლოდინების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ეს შეუსაბამობა ჩანს მსოფლიო ბანკის „ბიზნესის წარმართვის“ 2008 წლის ანგარიშში: საქართველოს რეიტინგი, რომელიც ზოგადად ძალიან კარგია, საშუალო კრედიტის მიღების (48-ე პოზიცია) და კონტრაქტების შესრულების (42) ნიშნით და დაბალი – ბიზნესის დახურვის ნიშნით (105). აწყდებიან რა ხანგრძლივ შეფერხებებს და საკმაოდ მაღალ ხარჯებს თავიანთი უფლების განხორციელებაში და გირაოს გამოყენებაში, ბანკები ერიდებიან სამრეწველო კომპანიებისთვის სესხის მიცემას, რადგან იციან, რომ მათი საბუღალტრო აღრიცხვა, მიუხედავად ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, კვლავ გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

ამ პრობლემების გადასაღებად, ალბათ, ხელი უნდა შეეწყოს სამრეწველო მანქანების და მოწყობილობის ლიზინგის სისტემატურ გამოყენებას, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ზომის სამრეწველო კომპანიების შემთხვევაში. ლიზინგის ამღების მიერ ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში, ლიზინგით გამცემ კომპანიას არ სჭირდება სასამართლოში წასვლა ლიზინგით გაცემული აქტივების დასაბრუნებლად, ვინაიდან ისინი მისი საკუთრებაა და ყველაფერი იოლად გვარდება.

დღემდე, საქართველოში, ლიზინგის განვითარება ფერხდება საგადასახადო ხარვეზების გამო, ვინაიდან იგი დღე-ით იბეგრება. ეს კი ამ სიცოცხლისუნარიან და მარტივ ფინანსურ ინსტრუმენტს ნაკლებ მიმზიდველს ხდის იმავე საქონლის საშუალოვადიანი კრედიტით დაფინანსებასთან შედარებით, ვინაიდან სარგებელი, რომელიც ლიზინგის ქირაში დევს – იბეგრება, საშუალოვადიანი კრედიტის სარგებელი კი – არა.

გარდა ამისა, საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად შეიცვალოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიდგომა საქართველოს ეკონომიკის დაფინანსებისადმი. აშკარაა, რომ მათი კეთილგანწყობა იმ ბანკებისადმი, რომლებსაც აფინანსებენ, არ არის უსაფრთხო. რა აზრი აქვს ე.წ. მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებას, თუ ეს საწარმოები უმეტესწილად სავაჭრო კომპანიებია, რომლებიც იმპორტს ახორციელებენ?

ამ რატომ ფინანსდებოდა უძრავი ქონება ასე განურჩევლად იმ დროს, როდესაც მისი სარისკო ბუმის ნიშნები იკვეთებოდა ბაზრის ყველა სექტორზე? ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ეს კითხვები სრულიად ლეგიტიმურია და პასუხს მოითხოვს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც საქართველოს ბანკების დაფინანსებაში მონაწილეობენ, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ფოკუსირება მოახდინონ საგარეო შემოსავლის გენერირებასა და დანაზოგების შემქმნელ საქმიანობებზე, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე, აგრეთვე ენერჯის წარმოებასა და ეფექტიანობაზე. რაც შეეხება დანარჩენ აქტივობებს, იქ მათი ჩარევა პრაქტიკულად არც არის საჭირო და შეიძლება მხოლოდ ბანკების აქტივების სწრაფ ზრდას შეუწყონ ხელი, რაც არ წარმოადგენს საერთაშორისო ინსტიტუტების ვალდებულებას.

განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება იყოს საერთაშორისო საფინანსო და ნამყვანი ორმხრივი ინსტიტუტების მხრიდან ენერჯის წარმოებასა და ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზება. მათ შეუძლიათ ქართველ პარტნიორებს გაუზიარონ მაღალტექნოლოგიური ფინანსური პროდუქტებით სარგებლობის მდიდარი გამოცდილება, აგრეთვე ხელი შეუწყონ ენერჯის სხვადასხვა ზომის, კერძო და დამოუკიდებელი მწარმოებლის ძლიერი სექტორის შექმნას, ვინაიდან საქართველოს ჰიდროელექტროენერგეტიკული პოტენციალი კვლავ მეტწილად გამოუყენებელი რჩება.

ცხადია, უფრო მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს სამრეწველო კომპანიების აქტივებში კომერციული ბანკების ინვესტირებას, უშუალოდ ან საინვესტიციო ფონდების მეშვეობით, როგორც შექმნასაც, სხვა და სხვა ეტაპზე, არაერთი ქართული ბანკი ანონსირებდა.

ამ ინსტიტუტებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ დროთა განმავლობაში აღნიშნული ინვესტიციებიდან „გასვლის“ საშუალება ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე სამრეწველო აქტივების საჯარო კოტირების გზით. გარკვეული როლის შესრულება შეუძლიათ უცხოურ ბანკებსაც. საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა მათი და ძლიერი ადგილობრივი ინსტი-

ტუციური ინვესტიორების კომბინაცია. ამ თვალსაზრისით სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მზარდი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამომხმარებლო შესყიდვების ბუთთან და კერძო დანაზოგების შემცირება (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, კერძო დანაზოგები 2005 წელს მშპ-ის 13,8%-დან 2007 წელს 6,3%-მდე შემცირდა).

აქედან გამომდინარე, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით რაც შეიძლება სწრაფად უნდა შე-
მუშავდეს გრძელვადიანი კერძო დაგროვების სავალდებულო სისტემა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჩილეს სა-
პენსიო ფონდების სისტემა. დანაზოგების მობილიზაციის ამგვარი სისტემის გარეშე, საქართველომ შეიძლება სახიფათო
მაკროეკონომიკურ სივრცეში შეაბიჯოს, განსაკუთრებით თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებითაც აქამდე
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ფინანსდებოდა, მომავალშიც ისევე შემცირდება, როგორც ამჟამად – პოსტსაომარი საქარ-
თველოს ვითარებაში.

17. დასკვნები

როგორც საქართველოს საგარეო ვაჭრობის 2006-2008 წლის დინამიკასა და მახასიათებლებზე დაკვირვებამ გამოა-
ვლინა, ქვეყნის ექსპორტი-იმპორტი მუდმივ კორექტირებას იმპორტის პოზიციის სასარგებლოდ განიცდის.

სავაჭრო დეფიციტის განუხრელი ზრდა ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მასშტაბური გახდა და მნიშვნე-
ლოვნად გაიზარდა ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი, რამაც არა მხოლოდ საექსპორტო, არამედ იმპორტის
ჩანაცვლების პერსპექტივის მქონე ადგილობრივი სექტორებიც საგრძნობლად დაასუსტა.

სავაჭრო სალდოს გაუარესება, როგორც დაკვირვებამ ცხადყო, არ არის მხოლოდ რომელიმე ერთი რომელიმე კონ-
კრეტული ფაქტორით გამოწვეული შედეგი. თავისი შინაარსით ეს მრავალკომპონენტური, კომპლექსური პროცესია,
რომელშიც თვითუფროდ გამოწვევებზე ფაქტორს საკუთარი მნიშვნელობა და ხვედრითი წილი აქვს.

იმპორტის გაზრდას, ერთის მხრივ, სავაჭრო ტარიფების განულების ტენდენციამ შეუწყო ხელი, რაც თავისთავად არ
არის ცალსახად შესაფასებელი პროცესი. ერთი მხრივ, ამან სავაჭრო პროცედურების და ვადების შემცირება გამოიწვია,
რაც უდავოდ მხოლოდ მისასალმებელი ფაქტია. ამასთან, იმპორტი გაიზარდა და საიმპორტო ოპერაციების წარმოებაც
დაჩქარდა.

თუმცა, იმავდროულად ისიც ფაქტია, რომ ამის შედეგად კიდევ უფრო მძაფრი კონკურენციის პირობებში აღმოჩნდ-
ნენ როგორც ადგილობრივი, ასევე საექსპორტო ბაზრებზე ორიენტირებული ქართული სამეურნეო სუბიექტები, რომელ-
თა სოლიდურობა ნაწილად ამ კონკურენციას სათანადოდ ვეღარ გაუძლო და საბაზრო ნიშა ან შეუმცირდა, ან სულაც
დაეკარგა.

ანუ ის რისკი, რომ საბაზრო ტარიფების პოლიტიკა ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობებს ამცირებს და იმპორ-
ტული პროდუქციით ბაზრის სრული გაჯერების ალბათობას კიდევ უფრო მეტს ხდის, საქართველოში პრაქტიკულად
რეალიზდა. იმავდროულად, ნაკლებად იმუშავა ამ ჩანაფიქრის მეორე მოსალოდნელმა ეფექტმა, რომლის მიხედვითაც
საბაზრო ტარიფების განულებას ქვეყანაში ტექნოლოგიების იმპორტი უნდა წახალისებინა და, საბოლოო ანგარიშით,
სწორედ საექსპორტო პიზიციები გაეძლიერებინა. ეს შედეგი დღეს ნაკლებად თვალსაჩინოა.

იმავდროულად, საექსპორტო შესაძლებლობებს უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში საგრძნობლად ვნებდა ჯერ ეროვნუ-
ლი ვალუტის კურსის შეუქცევადი და მკვეთრი გამყარების ტენდენცია, რაც ექსპორტს აძვირებდა და მის არსებულ თუ
პოტენციურ რესურსს ამცირებდა, იმპორტს კი, პირიქით, აიაფებდა და მისი მოცულობა იზრდებოდა. ამ თვალსაზრისით,
ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სერიოზულ პერმანენტულ დარტყმებს
განიცდიდა.

რაც შეხება 2008 წლის ნოემბერში მომხდარ ეროვნული ვალუტის მკვეთრ დევალვაციას, ამ ფაქტს ქვეყნის სავაჭრო
პოლიტიკაზე, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურაზე და ექსპორტის წახალისებაზე პოზიტიური გავლენა ასევე არ მოუხ-
დენია რამდენიმე გარემოების გამო: ჯერ ერთი, პოსტსაომარი ვითარების და გლობალური ფინანსური კრიზისის გამო

ქართული ექსპორტის შესაძლებლობები ისიდაც შემცირებული იყო და ვალუტის კურსის ცვლილებას მისთვის დადებითი ბიძგი არ მიუცია.

გარდა ამისა, ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსთან დაკავშირებით წარმოქმნილი არასტაბილური ვითარება და შესაძლო მორიგი კორექციის მოლოდინი ასევე ნეგატიურად აისახა სავაჭრო პოლიტიკაზე, ვინაიდან შეუძლებელი ხდება სავაჭრო პოლიტიკის და ოპერაციების გრძელვადიანი დაგეგმარება და განხორციელება.

სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად (ქართული საექსპორტო პოტენციალის სიმწირე, ქართული კომპანიების ნაკლები ფინანსური მდგრადობა და უცხოურ ანალოგებთან შედარებით გაცილებით სუსტი პოზიციები, არსებულ ბაზრებზე ადგილის შენარჩუნების და გასაღების ახალ ბაზრებზე შეღწევის სირთულეები და ხარჯიანობა და ა.შ.), ეს პრობლემები შედეგად იწვევს იმას, რომ ხდება არა ექსპორტის მატება და იმპორტის ჩანაცვლება, არამედ იმპორტის გაძლიერება, რაც ოფიციალური სტატისტიკითაც არის დადასტურებული და ტენდენცია თვალსაჩინოა – ქართული ექსპორტი, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტად ექცევა იმპორტის ჩრდილში.

არსებული პრობლემა კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია იმით, რომ უშუალო კავშირშია სიღარიბის დაძლევის პრობლემასთან. იმპორტის პოზიციების ასეთი გაძლიერება სირთულეს უქმნის არა მხოლოდ ადგილობრივი კომპანიების ფინანსურ თუ ინსტიტუციურ მდგრადობას და შემდგომ განვითარებას, არამედ შეუძლებელს ხდის არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და, მით უფრო, ახალი ადგილების გენერირებას.

ეს თანაბრად ეხება როგორც ქვეყნის შიდა მოთხოვნილებებზე, ასევე საექსპორტო მიმართულებებზე ორიენტირებულ სექტორებს და კომპანიებს. როგორც ადგილობრივ ბაზარზე ფოკუსირებული მომსახურება და საქონელი, ასევე საექსპორტო პოტენციალი ყველაზე მეტად იქმნება იმ სფეროებში, სადაც მოსახლეობის დასაქმება დიდია.

ამდენად, ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის კონფიგურაციის მკვეთრი ცვლილება სავაჭრო დეფიციტის ზრდის თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი პრობლემაა, რომელსაც ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, მისი საფუძვლიანი ანალიზი და შესაბამისი პრევენციული ქმედებების აუცილებლობა აშკარაა.

18. რეკომენდაციები

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ბაზრის მოცულობა ფიზიკურად არის ლიმიტირებული, ქართული კომპანიების მეტი მდგრადობის, სავაჭრო დეფიციტის შემცირებისა და დასაქმების პრობლემის მეტ-ნაკლებად მოსაგვარებლად აუცილებელია როგორც ექსპორტის ხელშეწყობის, ასევე იმპორტის ჩანაცვლების ღონისძიებების განხორციელება.

იმის გათვალისწინებით, რომ მთელი ეს პრობლემატიკა საკმაოდ მრავალნახნაგოვანი და ბევრშრიანია, აუცილებელია აქტივობების გააქტიურება საკმაოდ ბევრი მიმართულებით, რამაც საბოლოოდ არსებული ვითარების შემსუბუქება და თვისებრივად ახალი სავაჭრო და სიღარიბესთან ბრძოლის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

ამ მხრივ სასურველია გადანიჭვითი მთელი წყების მიღება, რომელიც ქართულ პროდუქციას უფრო მეტად კონკურენტუნარიანს და წარმოების მხრივ სტიმულირებულს გახდის.

უფრო კონკრეტული რეკომენდაციებიდან აუცილებლად გამოსაყოფია შემდეგი სასურველი აქტივობები:

- ყოვლისმომცველი კვლევა და იმ დარგების გამოკვება და მხარდაჭერა, რომელთაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში როგორც ექსპორტის გაზრდის, ასევე იმპორტის ჩანაცვლების რეალური პერსპექტივა გააჩნიათ;
- „მწვანე დერეფნის“ და „ერთი ფანჯრის პრინციპის“ რეალურად და სრულფასოვნად ამოქმედება სავაჭრო ბრუნვის გაზრდის და შესაბამისი საბაჟო და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების როგორც რაოდენობრივი, ასევე ვადების შემცირების კუთხით;
- იმ უცხოური კომპანიების მოძიება და მოზიდვა, ვინც დაინტერესებული იქნება საქართველოში პროდუქციის წარმოებით და GSP+-ის და სხვა სახელმწიფოებთან არსებული შეღავათიანი რეჟიმებით სარგებლობით და საექსპორტო ბაზრებზე გატანით;
- „სურსათის უვნებლობის შესახებ“ კანონის შეჩერებული მუხლების დაუყოვნებლივ ამოქმედება., რათა ქართულ სანარმოებში გამოშვებული პროდუქცია შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და გაუჩნდეს საექსპორტო პოტენციალი;
- ქართულ კომპანიებში HACCP-ის სტანდარტის დანერგვა, რაც სანარმოში, ფიტოსანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვას გულისხმობს და საექსპორტო პროდუქციის წარმოების აუცილებელი პირობაა;
- ახალ საინვესტიციო პროექტებზე ზომიერი და გამართლებული შეღავათების ან მხარდაჭერის რეჟიმების დანერგვის სქემის (საგადასახადო არდადეგები, სახელმწიფო ქონების გადაცემა) შემუშავება და დანერგვა;
- შრომის კოდექსის გადახედვა, დაქირავებულის უფლებების უფრო მეტად დაცვის და დამქირავებელ-დაქირავებულს შორის დარღვეული დისბალანსის აღსადგენად;
- სტატისტიკის სამსახურის სრულყოფილი და ძირეული რეფორმა, რომელიც შესაბამის მონაცემებს უფრო სრულყოფილს და სანდოს გახდის და შეაძლებელს გახდის როგორც რეალური სურათის გამოკვეთას, ასევე უფრო ზუსტ პროგნოზირებას;
- კერძო საპენსიო ფონდების სისტემის ჩამოყალიბების დაჩქარება და ხელშეწყობა, რათა შესაბამის კომპანიებს მიეცეთ შანსი, მეტი ფული მოიზიდონ და მიმართონ ქვეყნის ეკონომიკაში.

შენიშვნები